შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **ნინო ბარნოვი**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი ვენედი ბენიძე

თბილისი

2020

შინაარსი:

ანოტაცია.....გვ. 3

Annotation…….....გვ.4

შესავალი.....გვ. 5

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა.....გვ.8

თავი II. პროკურორი-პროკურატურის ორგანოები, ფუნქციები და ამოცანები.....გვ.10

2.1. პროკურატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა.....გვ.10

2.2. "სისიხლისსამართლებრივი დევნა როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება.....გვ.14

2.3.პროკურორის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლოში საქმის განხილვის დროს...გვ.24

2.4. სხვა ქვეყნების გამოცდილებების მოკლე მიმოხილვა.....გვ.26

თავი III. პროკურორის როგორც ბრალმდებლის როლი სასამართლო პროცესში.....გვ.31

3.1. სახელმწიფო ბრალმდებელი პირველი ინსტანციის სასამართლოში.....გვ.31

3.2. პროკურორი სააპელაციო და საკასაციო საქმის განხილვის სტადიაზე.....გვ.39

თავი IV. პროკურორის შესავალი და დასკვნითი სიტყვა და უარი ბრალდებაზე.....გვ.47

4.1. პროკურორის შესავალი და დასკვნითი სიტყვა.....გვ.47

4.2. პროკურორის უარი ბრალდებაზე და მისი სამართლებლივი შედეგები.....გვ.56

დასკვნა.....გვ.62

გამოყენებული ლიტერატურა.....გვ.66

ანოტაცია

პროკურატურა ის ორგანოა, რომლის წარმატებული საქმიანობის შედეგად შესაძლებელია კანონის უზენაესობის დაცვა, სამართლიანობის აღდგენა, მართლწესრიგის განმტკიცება. პროკურატურა ძირითადი რგოლია მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის საქმეში.

სისხლისსამართლის მართლმსაჯულების განხორციელებაში პროკურორი უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ყველა გადაწყვეტილება რომელსაც პროკურორი იღებს, არა მარტო ცალკეულ ინდივიდებზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე ახდენს გავლენას და აქედან გამომდინარე ის სახელმწიფოსაც ეხება. პროკურორი უნდა იყოს კომპეტენტური, სამართლიანი და მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული. იგი უნდა გამოხატავდეს სახელმწიფოს, მთელი საზოგადოების ინტერესებს.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში რეფორმები კვლავაც გრძელდება, ერთ–ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში დანაშაულების გაზრდილი მასშტაბები ქმნის, რომლის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭიროა სამართალდამცავ ორგანოთა ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის მაღალი სატანტარდიზაცია და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ასევე სწორი საკადრო პოლიტიკის გატარება. სწორედ ზემოთ ნახსენებმა პრობლემებმა განაპირობა ნაშრომის აქტუალობა და საჭირო გახდა იმ საკითხების მეცნიერულად დამუშავება, რომელიც პროკურორის საპროცესო ფუნქციებს ეხება.

ნაშრომში გაანალიზებულია თუ, როგორია პროკურორის როგორც ბრალმდებელის როლი სასამართლოში და როგორია მისი როლი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესის დროს, აღნიშნული საკითხი ყოველთვის დავის საგანს წარმოადგენდა სამართლებრივი ტრადიციების თუ პრაქტიკის მქონე სხვადასხვა ქვეყნებისთვის. ნაშრომში ასევე გამოყენებული არის როგორც სისტემური ისე, ლოგიკური, სტატისტიკური, შედარებითი ანალიზი. რაც მთავარია, სწორედ თეორიული ანალიზი წარმოადგენს ნაშრომის კვლევის მეთოდს. ასევე კვლევის მეთოდს წარმოადგენს სამეცნიერო ლიტერატურიდან და პრაქტიკული საქმიანობიდან მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი.

Annotation

The Prosecutor's Office is the body that helps protect the rule of law. The Office of the Prosecutor is a body that can and is authorized to use all means to protect citizens' rights, including criminal interference.

The role of the prosecutor in the administration of criminal justice is very important. The Prosecutor's Office is the body that has made a particularly important contribution to upholding the rule of law. Each prosecutor's decision affects the whole society, and therefore the state. Therefore, any decision of the prosecutor must be fair, it must be substantiated, it must reflect the interests of the state and society.

Reform of criminal procedure legislation continues today. The increasing scale of crime and new types of crime are a significant obstacle, which requires a high standard of law-enforcement, a high level of professionalism and a comprehensive legislative framework to combat. The above contributes to the novelty and topicality of the problem raised in the work. The change of legislation and the adoption of the new Code of Criminal Procedure necessitated the scientific elaboration of problematic issues of the prosecutor's diverse procedural functions. The paper analyzes the role of prosecutors as prosecutors in court and in the investigation of criminal cases, which is one of the most controversial issues among countries with different legal traditions and practices. The work also uses systematic as well as logical, statistical, comparative analysis. Most importantly, this is the theoretical analysis of the research method. The research method is also the processing and analysis of data obtained from scientific literature and practical activities.

შესავალი

2018 წლის დეკემბერში, საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები. იუსტიციის სამინისტროს მთლიანად გამოეყო საქართველოს პროკურატურა და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ უწყებად რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი. როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ორგანიზაციები შეშფოთებულები იყვნენ წლების მანძილზე, რადგან პოლიტიკური ჩარევისაგან საქართველოს პროკურატურა თავისუფალი არასდროს ყოფილა. მითუმეტეს, რომ ბევრი რეფორმა გატარდა, 2013 წელს პროკურორის უფლებამოსილება ჩამოერთვა იუსტიციის მინისტრს, რომელიც შემდგომ ვეღარ ერეოდა ინდივიდუალური საქმეების გადაწყვეტაში. ასევე, 2015 წელს გატარებული რეფორმა, რომლის დროსაც შეიცვალა მთავარი პროკურორის დანიშვნა–გათავისუფლების წესი, მთავარი პროკურორის დანიშვნა–გათავისუფლების ფუნქცია მიენიჭა საპროკურორო საბჭოს. მიუხედვად ამ რეფორმებისა პროკურატურა დეპოლიტიზირებული მაინც ვერ გახდა. სწორედ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტას ყოველ წელს საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთ რეკომენდაციებში ახსენებდნენ. რეფორმის შედეგად საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს მოხდა საკანონმდებლო ცვლილებები, მომდევნო 2018 წლის ბოლოსათვის კი საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონში. შესული ცვლილებებით საქართველოს კონსტიტუციაში პროკურატურას მთლიანი ერთი თავი დაეთმო. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გახდა პროკურატურის დამოუკიდებლობა. ამ ცვლილებებით მთავარი პროკურორი გახდა/შეიცვალა გენერალური პროკურორი, ხოლო კონსტიტუციურ ორგანოდ გადაიქცა საპროკურორო საბჭო.

დღეს კონსტიტუციით არის განსაზღვრული გენერალური პროკურორის არჩევის ზოგადი წესი, მისი თანამდებობიდან გადაყენება კი, მხოლოდ და მხოლოდ იმპიჩმენტის გზით არის შესაძლებელი. რაც ნიშნავს, თუ პროკურორი დაარღვევს კონსტიტუციას, ან მის ქმედებაში შეინიშნება დანაშაული, გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს.

პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციურ ცვლილებებთან ჰარმონიზებისათვის, 2018 წლის 30 ნოემბერს დაამტკიცა ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“. სადაც ძირითადი ცვლილებები შეეხო საპროკურორო საბჭოს, ასევე გენერალური პროკურორის არჩევის წესს.

გატარებული რეფორმით საპროკურორო საბჭოს ფუნქციებმა განიცადეს მხოლოდ ერთი ცვლილება, სადაც კონსულტაციისბს გენერალური პროკურორის კანდიდატურის შესარჩევად

იუსტიციის მინისტრის მაგივრად, საპროკურორო საბჭო ჩაატარებს. ასევე საბჭოს ჩამოერთვა გენერალური პროკურორის დისციპლინირების ფუნქცია.

სისხლის სამართალწარმოების დროს პროკურორი წარმოადგენს პროცესის სუბიექტს, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას. იგი არის და წარმოადგენს სახელმწიფო ბრალმდებელს პირველი ინსტანციის სასამართლოში. ასევე, როცა საქმის წარმოება არის სააპელაციო სტადიაზე პროკურორი ვალდებული არის მონაწილეობდეს საქმის არსებით განხილვაში, სწორედ, რომ სასამართლოში, პროკურორი წარმოადგენს სახელმწიფო ბრალმდებელს, მან უნდა ამტკიცოს მოპოვებული მტკიცებულებებით პირისათვის წარდგენილი ბრალდება.[1]

იმისათვის, რომ სისხლის სამართლის პროცესი იყოს სამართლიანი, დიდი მნიშვნელობა აქვს საქმეში მონაწილე ყველა პირს, ის პირები რომლებიც ღებულობენ პროცესუალური მნიშვნელობის სხვადასხვა ოფიციალურ გადაწყვეტილებებს, უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად. მათ არ უნდა ამოძრავებდეს პირადი ინტერესი კონკრეტული საქმის მიმართ. მას შემდეგ რაც ახალი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა რაიმე მონოგრაფია ან ნაშრომი მოცემულ საკითხთან მიმართებაში გამოცემულ არ არის და ამიტომაც არჩეული თემა მეტად აქტუალურია.

თემის აქტუალობა. თემის აქტუალობას განაპირობებს ისიც რომ, რეფორმები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დღემდე გრძელდება. მთავარ დაბრკოლებას მხოლოდ ახალი სახის დანაშაულები და დანაშაულის მკვეთრი ზრდის მასშტაბები წარმოადგენს, მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის კი საჭიროა სამარტალდამცავი ორგანოების მაღალი სტანდარტით ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობა, ასევე საჭიროა რომ სამართალდამცავები იყვნენ პროფესიონალები და საკანონმდებლო ბაზა იყოს სრულყოფილი. ყველა ზემოთ ნახსენები წინადადებები ნაშრომში წამოჭრილი პრობლემის სიახლეს და აქტუალობას უწყობს ხელს. გატარებულმა რეფორმებმა, საკანონმდებლო ცვლილებებმა და მიღებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე საჭირო გახდა იმ პრობლემატური საკითხების მეცნიერულად დამუშავების საკითხები რომლებიც პროკურორის მრავალმხრივ ფუნქციებს ეხება.

კვლევის მიზანი: ნაშრომში ანალიზი გავაკეთეთ თუ როგორია დღეს პროკურორის როგორც ბრალმდებელის როლი სასამართლოში და სისხლისსამართლის საქმის გამოძების

[1] მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., ფაფიაშვილი შ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი. [სახელმძღვანელო]. გამომცემლობა „იურისტთა სამყარო“. თბ. 2015,გვ. 119.

პროცესში, რაც დღემდის ერთ-ერთი საკამათო საკითხად არის მიჩნეული სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციების ქვეყნებში.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გამოყენებული იქნა როგორც სისტემური ისე, ლოგიკური, სტატისტიკური, ასევე შედარებითი ანალიზი. რაც მთავარია, სწორედ თეორიული ანალიზი წარმოადგენს ნაშრომის კვლევის მეთოდს. ასევე კვლევის მეთოდს წარმოადგენს სამეცნიერო ლიტერატურიდან და პრაქტიკული საქმიანობით მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი. კვლევა დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციას, "საქართველოს პროკურატურის შესახებ" კანონს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას და სხვადასხვა ნორმატიულ მასალას. წარმოდგენილი ნაშრომის ინფორმაციულ ბაზად წარმოდგენილია სამეცნიერო სტატიები, მეცნიერთა შრომები და პუბლიკაციები, ასევე, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა.

ნაშრომში საქართველოს სისხლისსამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით დეტალურად და კომპლექსურად იქნა გამოკვლეული პროკურორის როლი როგორც სასამართლო პროცესში ისე გამოძიების სტადიაზე. პროკურორის როლი და მნიშვნელობა ამ საქმიანობაში, ის პრობლემები, რაც წარმოიშობა პროკურორის ამგვარი საქმიანობის დროს.

ნაშრომის საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გაკეთდა თეორიული და პრაქტიკული საკითხების ანალიზით, მიმაჩნია, რომ შევძელი ნაშრომში მომეყვანა საინტერესო მოსაზრებები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, რითაც დაინტერესდებიან როგორც პრაქტიკოსი იურისტები ისე სამართლის თეორიით დაინტერესებული პირები. რადგან ნაშრომში განხილული მაქვს პროკურორის ფუნქციები როგორც თეორიული კუთხით, ისევე პრაქტიკული კუთხითაც.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომი გაკეთებულია ქართველი მეცნიერ-იურისტების ნაშრომების, სახელმძღვანელოებსა და პერიოდულ გამოცემებში არსებულ სამეცნიერო სტატიების გამოყენებით. მათ შრის საკვლევ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ნაშრომები: პროფესორ მიხეილ მამნიაშვილის, პროფესორ გივი აბაშიძის, ჯემალ გახოკიძის.

გივი აბაშიძის ნაშრომებიდან გამოყენებული მაქვს შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. პროკურორი - გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი. სახელმძღვანელო, გამომცემლობა - „გეორგიკა“ , თბილისი, 2011 წ.

2. პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი (გამოძიების სტადიაზე). სახელმძღვანელო, გამომცემლობა - „ინოვაცია“ , თბილისი, 2011

3. პროკურორი გამოძიების სტადიაზე. გამომცემლობა - „უნივერსალი“, თბილისი, 2012 - წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია შემდეგი საკითხები: პროკურორი გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივი ინსტიტუცის კონცეპტუალური საპუძვლები, დისკრესციული დევნის პრინციპები – პროკურორის მიერ სისხლის-სამართლებრივი დეევნის ფუნქციების განხორციელების საკითხები გამოძიების სხვადასხვა სტადიაზე –გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის ცნება,არსსი, მნიშვნელობა, ამოცანები,მისი განხორცციელების ფორმები დამეთოდები – გაკეთებულია შედარებითი ანალიზი საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმმდებლობის მიხედვით. სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულია დღეს არსებული პრობლემები, ხარვეზები და ასევე საინტერესოდ არის გადაწყვეტილი ამ პრობლემების თუ ხარვეზების გადაწყვეტის გზები.

4. ჯემალ გახოკიძე, ირაკლი გაბისონია, მიხეილ მამნიაშვილი, პოლიკარპე (თემურ) მონიავა. საგამოძიებო სამართალი. პირველი ნაწილი. თბილისი, 2017. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ - ნაშრომი წარმოადგენს მრავალწლიანი სამეცნიერო და პრაქტიკული საგამოძიებო საქმიანობის შედეგს, რომელსაც განხილული საკითხების სხვადასხვა თემატიკის მრავალფეროვნებებით საქართველოში დღეს ანალოგი არააქვს, მასში ასახულია: გამოძიებასთან დაკავშირებული ისტორიული მემკვიდრეობა, შედარებულია დღევანდეელ არსებულ რეალობასთან, მოცემულია როგორც ქართული ისე საზღვარგარეთის ქვეყნების ანალიზი. კარგად არის წარმოდგენილი გამომძიებლის, პროკურორის, ბრალდებულის, ასევე ის სუბიექტები რომლებიც გამოძიებასთან არის ასოცირებულები, მათი საქმიანოიბის ძირითადი ასპექტები. რომლებიც მოწერიგებულია სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით; ასევე

ნაშრომი კარგად არის წარმოჩენილი, წინახელისუფლების პირობებებში გამომძიებლის როლის შესუსტების მიზეზები და თუ რამ განაპირობა ყოველივე ეს. ა)რომლებმაც საქართველოს პროკურატურის ინსტუტიციური დამოუკიდებლობა შეიწირა; ბ)რომელთა გამოც გამომძიებლები დღემდე ვერ ასრულებენ კანონით მასზედაკისრებულ ვალდებულებებს, რათა ობიექტურად აწარმოონ გამოძიება. გ)რის გამოც თითქმის შეუძლებელი გახდა გამოძიების ჩატარებისას სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსით დეკლარირეული თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპების რეალიზაცია. ნაშრომი მოიცავს ასევე არაერთი პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციებს.

თავი II. პროკურორი- პროკურატურის ორგანოები, ფუნქციები და ამოცანები

2.1. პროკურატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფოს ფუნქცია - გამოიძიოს დანაშაული, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავე, წარმოადგენს საჯარო ინტერესის საგანს, რომელიც განსხვავდება სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ფუნქციებისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ პროკურატურა თავის საქმიანობაში იყოს დამოუკიდებელი პოლიტიკური თუ სხვა სახის ზეგავლენისაგან, დანაშაულის გამოძიებას და პირის სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებდეს ნეიტრალურად, რაც საქართველოს პროკურატურის სისტემისთვის დღემდე გამოწვევას წარმოადგენს.

პროკურატურის, როგორც სახელმწიფო ბრალდების ორგანოს საწყისები ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროიდან გვხვდება, თუმცა მის სამშობლოდ მიიჩნევა საფრანგეთი. სადაც "პროკურატურა ჩამოყალიბდა 1302 წელს, მეფე ფილიპ IV მიერ გამოცემული ორდონანსის საფუძველზე და წარმოდგენილი იყო საფრანგეთის საკასაციო სასაამრთლოსთან არსებული გენერალური პროკურორის სახით, ხოლო ინგლისში იგი ჩამოყალიბდა მე-15 საუკუნეში, სადაც პროკურატურის ორგანოების ფუნქციებს გარკვეულწილად ასრულებდა საჯარო დევნის დირექტორი, რუსეთში კი 1722 წლის 12 აპრილს პეტრე პირველის ბრძანებით".[2] თავად „პროკურორი" ლათინური სიტყვაა და მზრუნველს ნიშნავს. „პროკურატორი" კი ძველ რომში აღნიშნავდა მმართველს, რწმუნებულს[3].

ძველi ქართულ სამართალი არ იცნობს მსგავს ტერმინს. იგი ასევე არაა ნახსენები საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში. საქართველოში პროკურატურა რუსეთის იმპერიის გავლენით დაარსდა, მოგვიანებით იმპერიის დაშლის შემდეგ და საქართველოს დამოუკიდებლობის სამი წლის განმავლობაში, იგი არსებობდა სასამართლოებთან ერთად. მოგვიანებით საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და გასაბჭოების შემდეგ 1922 წელს დაარსდა საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურა. საქართველოს ცენტრალური

[2] აბაშიძე, გ. პროკურორი გამოძიების სტადიაზე. "უნივერსალი;"თბილისი:2012 გვ.20
[3] აქუბარდია ი. საქართველოს პროკურატურის ისტორია და თანამედროვე ორგანიზაცია, თბ., 1999, გვ. 3

აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული ”საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ” 1922 წლის 11 ნოემბრის დებულებით, პროკურორს ფართო უფლებამოსილება მიენიჭა.

1922 წლის 11 ნოემბერს დამტკიცდა დებულება „პროკურატურის შესახებ“. პროკურატურას რესპუბლიკის პროკურორის სახით ხელმძღვანელობდა იუსტიციის სახალხო კომისარი. სწორედ ამ პირველი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს პროკურატურა, რომელიც დაექვემდებარა იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყებას. პროკურატურას ზედამხედველობის განხორციელება ხელისუფლების ყველა ორგანოს, სამეურნეო დაწესებულების, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების მოქმედების კანონიერებაზე, დაევალა დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში სისხლის სამართლის დევნის დაწყება, საგამოძიებო ორგანოზე უშუალო მეთვალყურეობა, სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერა და ასევე მის ფუნქციებში შედიოდა მეთვალყურეობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კანონიერების დაცვაზე.

90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შესაბამისად ახალი რეალობის გათვალისწინებით, 1992 წლის 17 ივნისს საქართველოს სახელმწიფოს საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შესახებ“. რომლითაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა პროკურატურის უფლებები.კერძოდ, პროკურატურას ჩამოერთვა საერთო ზედამხედველობის ფუნქცია. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიხედვით, პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების ორგანო იყო.[4] პროკურატურის სასამართლოსადმი დამოკიდებულება 2004 წლის 6 თებერვალს შეიცვალა, როდესაც საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა და სწორედ ამ ცვლილებათა წყალობით, პროკურატურა სრულიად დამოუკიდებელ, ერთიან ორგანოდ გარდაიქმნა, 2008 წლის 21 ოქტომბერს მიღებულ იქნა კანონი „პროკურატურის შესახებ“, რომლის მიხედვით პროკურატურა შევიდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, როგორც საქვეუწყებო დაწესებულება.

შეიცვალა მთავრი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის წესიც. კერძოდ, მთავარი პროკურორს იუსტიციის მინისტრის ერთპიროვნული წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავდა პრეზიდენტი.[5] გაუმჭვირვალე პროცედურებით პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მთავარი პროკურორის დანიშვნა, რასაკვირველია არ იყო მყარი გარანტია სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს ნეიტრალიტეტის მისაღწევად.

[4] გაბისონია, ი. პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში.: შპს ”ფავორიტი”.თბ. 1999.გვ. 17
[5] „პროკურატურის შესახებ “ საქართველოს კანონი, 27/10.2008 წლის მდგომარეობით, მუხლები 8-9.

ამ მოცემულობამ აუცილებელი გახადა მთავრობისგან პროკურატურის მაქსიმალური დისტანცირება.

არსებული გამოწვევების ფონზე სახელმწიფომ დაიწყო პროკურატურის რეფორმა, რომლის გაცხადებული მიზანი პროკურატურის სისტემის დეპოლიტიზირება იყო. ამასთანავე რეფორმა პროკურატურის სისტემის მუშაობის გაუმჯობესებისკენ იქნა მიმართული. რომელიც სჭირდება პროკურატურას და მის მიმართ ნდობის გაზრდას, უკავშირდება ერთის მხრივ პროკურატურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, მეორეს მხრივ კი - პროფესიონალიზმის ამაღლებას. მესამე, ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, კომპეტენციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, პროკურორთა შერჩევის, დაწინაურებისა და გადაყვანის სამართლიანი და მიუკერძოებელი პროცედურების არსებობა.

სისხლისსამართლის მართლმსაჯულების განხორციელებაში პროკურორს ძალზედ მნიშვნელოვანი როლი აკისრია. „პროკურატურის ორგანოს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჩვენს ქვეყანაში არსებული კანონების უზენაესობის დაცვაში. ყველა გადაწყვეტილება რომელსაც პროკურორი იღებს მთელ საზოგადოებაზე ახდენს გავლენას და აქედან გამომდინარე ის სახელმწიფოსაც ეხება. ამიტომაც, პროკურორის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს სამართლიანი, იგი უნდა იყოს დასაბუთებული,იგი უნდა ასახავდეს სახელმწიფოს, საზოგადოების ინტერესებს.“[6] პროკურატურა ყველა ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს. იგი დიდ როლს თამაშობს უზენაესი კანონის განხორხციელებებში. რომელიც ქვეყნის განვითარებაზე და სტაბილურობაზე მეტყველებს.

2018 წლის 30 ნოემბერს მიღებულ იქნა პროკურატურის შესახებ ორგანული კანონი, რომლის მიხედვითაც, პროკურატურა გამოეყო იუსტიციის სამინისტროს და კვლავ დამოუკიდებელი ორგანოს სახით ჩამოყალიბდა. ამავე წლის დეკემბერში საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები. რომლითაც საქართველოს პროკურატურა მთლიანად გამოვიდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებიდან, და როგორც დამოუკიდებელი უწყება ისე ჩამოყალიბდა. პროკურატურის ხელმძღვანელი გახდა გენერალური პროკურორი, რაც შეეხება პროკურატურის დამოუკიდებლობას, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა დაევალა საპროკურორო საბჭოს.

რეფორმების შედეგად გენერალური პროკურორის უფლებამოსილება ძალზედ გაფართოვდა, და ყველა უ ფლებამოსილება, რაც იუსტიციის მინისტრის კომპეტენციაში

[6] პ. მონიავა და სხვ., საპროკურორო სამართალი, „იურისტების სამყარო“. თბ., 2015. გვ.47

შედიოდა და მის მოვალეობადაც ითვლებოდა, გენერალურ პროკურორს გადაეცა. მოცემული რეფორმების შედეგად გენერალური პროკურორი:

„-იღებს გადაწყვეტილებებს პროკურატურის საკადრო საკითხებზე, პროკურატურის ორგანოების შექმნასა და გაუქმებაზე, მათი სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრასა და სტრუქტურულ ერთეულთა კომპეტენციაზე; -უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს საპროკურორო საბჭოს სხდომებს; -ამტკიცებს სისხლისსამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე სახელმძღვანელო პრინციპებს. აქუნდა აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლის პოლიტიკის განსაზღვრის უპლებამოსილება საქართველოს პარლამენტს მიენიჭა; -ამტკიცებს პროკურატურის თანამშრომელტა ეტიკის კოდექსს; -განიხილავს საჩივრებს, განცხადებებს."

სიახლეს წარმოადგენს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოებიც; კერძოდ:[7] კარიერის მართვის, ეთიკის, წახალისების საბჭო, სტრატეგიული განვითარების, სისხლისსამართლის პოლიტიკის საბჭო. პროკურატურის შესახებ ორგანულიკანონით გაფართოვდა საპარლამენტო კონტროლი პროკურატურის საქმიანობებზე. ძველ კანონში საპარლამენტო კონტროლს ექვემდებარებოდა მხოლოდ მთავარი პროკურორის ინფორმაციის მოსმენა–განხილვა, რომელიც ხორციელდებოდა პარლამენტის მოთხოვნით, ამასთანავე ძველი კანონის მიხედვთ იგივე შეეძლო მოეთხოვა მთავარ პროკურორსაც.

დღეს არსებული კანონით გენერალური პროკურორი ვალდებულია პარლამენტს ყოველი წლის 15 მაისამდე წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში პროკურატურის საქმიანობის შესახებ. პარლამენტის მოთხოვნით გენერალური პროკურორი წარადგენს ანგარიშს. კონკრეტული საკითხების ჩამონათვალი გაწერილია კანონში. ეს საკითხებია:[8]

„ -სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგები;

-ქვეყანაში არსებული კრიმინალური ვითარებების შეფასება, დანაშაულების სტატისტიკური მაჩვენებლები, დანაშაულების კატეგორიები და ტენდენციები;

-სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისადა თავისუფლებების დაცვა;

-პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეთული მიმარტულებები;

---

[7] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ 30/11/2018
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382740?publication=2

[8] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ 30/11/2018
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382740?publication=2

-პროკურორტა პროფესიული გადამზადება, პროკურორთა პროფესიული განვიტარების პროგრამები.“

ანგარიშში არ უნდა იყოს ასახული კონკრეტული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული საკითხები. კანონის საფუძველზე გენერალური პროკურორი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევის დროს, დაესწროს პარლამენტის, ან მისი კომიტეტის და კომისის სხდომას, პროკურორი ასევე ვალდებულია გასცეს პასუხი კითხვებს და წარადგინოს საქმიანობის შესახებ სრული ანგარიში. უნდა აღინიშნოის ისიც, რომ ამ შემთხვევაში პარლამენტმა წინასწარ უნდა აცნობოს გენერალურ პროკურორს განსახილველი საკითხების შესახებ. თუ წინასწარ არ იქნა საკითხები პროკურორისთვის ცნობილი მან შეუძლია არ გასცეს დასმულ კითხვებს პასუხი და იგი უპასუხოდ დატოვოს.

აქვე შეგვიძლია ზოგადად განვიხილოთ პროკურატურის ფუნქციები: როგორც ვიცით, რეფორმების შედეგად საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილებას სსსკ-ის გარდა “პროკურატურის შესახებ” საქართველოს 2018 წლის 30 ნოემბრის ორგანული კანონი განსაზღვრავს.[9] პროკურორი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ყველა სისხლის სამართლის პროცესში, დანაშაულის გამოძიების დაწყებიდან საქმის სასამართლოში წარმართვამდე, იგი არის საპროცესო ხელმძღვანელი გამოძიების მიმდინარეობისას, როცა საქმე წარიმართება სასამართლოში პროკურორი მონაწილეობას იღებს სასამართლო სხდომებში და სახელმწიფოს სახელით მხარს უჭერს ბრალდებას, სწორედ პროკურორი ითხოვს პირი დამნაშავედ იქნეს ცნობილი.

2.2. სისიხლისსამართლებრივი დევნა როგორც პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება

ბ. მეურმიშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ: „დღეს, სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მო-ქმედებათა ერთ მთლიანობას, რომელსაც ახორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები

[9] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ 30/11/2018 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382740?publication=2

დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად...[10] სისხლისსამართლებრივი დევნა მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის წინააღმდეგდა ემსახურება საჯარო ინტერესის დაცვას."[11] სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოქმედებათა ერთობლიობას, იგი მიმართულია როგორც დანაშაულის ჩამდენიპირის აღმოჩენისაკენ, ისე მისმიმართ გამოყენებული ყველა იმ ღონისძიებებით, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული მისი უზრუნველყოფისათვის. სისხლისსამართლებრივი დევნის მთავარი მიზანია გამოავლინოს ის პირი რომელიც დანაშაულის ჩადენაში არის ბრალდებული. იმ პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობისას რომელიც სისხლისსამართლებრივ დევნას ეხება მეცნიერებს სხვადასხვა შეხედულებები გაჩნიათ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს იმ დამოუკიდებელ სტადიას, რომელიც სისხლისსამართლის პროცესისას მიმდინარეობს. პროცესი გრძელდება გამოძიების შემდეგაც, როცა საქმეს განიხილავს სასამართლო. სისხლისსამართლებრივიდევნა განიხილება, როგორც სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირთა საპროცესო საქმიანობა, რომლის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენა და ამ უკანასკნელისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. დღეს სისხლის საპროცესო სამართალში სისხლის–სამართლებრივი დევნისა და ბრალდების თანაფარდობა ერთ-ერთი საინტერესოა და ამავდროულად ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუკვლეველ საკითხს წარმოადგენს.[12]

პროკურატურის ორგანო ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. იმისათვის რომ მან ეს ფუნქცია შეასრულოს პროკურატურა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს. პროკურატურა მინიჭებული უფლებამოსილებით, სრულად ატარებს დანაშაულის გამოძიებას და მხარსუჭერს სახელმწიფობრალდებას სასამართლოებში. საქართველოს სსსკ-ის 32-ე მუხლი განსაზღვრავს პროკურატურის უფლებამოსილებას. იგი მოიცავს პროკურატურის ძირითად ფუნქციებს სისხლის სამართლის პროცესში გამოძიების მიმდინარეობისას, დანაშაულის ჩამდენი პირისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის

---

[10] ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე) გამომცემლობა "მერიდიანი" თბ. 2015, გვ. 30

[11] ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე) გამომცემლობა "მერიდიანი" თბ. 2015, გვ. 30

[12] მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., ფაფიაშვილი შ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. კერძო ნაწილი. [სახელმძღვანელო]. გამომცემლობა „იურისტთა სამყარო". თბ. 2015.გვ. 121

განხორციელებას და სისხლისსამართლის საქმის სასამართლოებში განხილვის ეტაპებს. საქართველოს სსსკ-ის 32-ე მუხლს ერთმანეთისაგან გამოყოფილი აქვს, როგორც საპროკურორო ისე პროკურატურის, გამოსძიების წარმოებელი ორგანოს, საგამომძიებო ფუნქციები.

საქართველოს პროურატურის უფლებამოსილებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსთან ერთად "პროკურატურის შესახებ" საქართველოს 2018 წლის 30 ნოემბრის ორგანული კანონი განსაზღვრავს.[13] დღეს არსებული ნორმით პროკურატურას სისხლის სამართლის პროცესში წარმოდგენილია სამი ძირითადი ფუნქციით – სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებით, მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოძიების პროცესში და როგორც სახელმწიფო მბრალდებელის მხარდაჭერით სასამართლოში. პროკურატურა მოცემულ ფუნქციებს ახორციელებს პროკურორების დახმარებით. თითეულ ეტაპზე მას საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აკისრია. მისი უფლებამოვალეობა მარტო დანაშაულში მონაწილე ბრალეული პირის დადგენით არ შემოიფარგლება. იგი ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებს სისხლის სამართლის პროცესში, იგი ხელმძღვანელობს გამოძიების მიმდინარეობას. საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგკი მონაწილეობს სასამართლო სხდომებში სადაც იგი წარმოადგენს სახელმწიფოს, მისი სახელით ბრალდებას უჭერს მხარს, პროკურორი ითხოვს პირისდამნაშავედ იქნას ცნობილი.[14]

სსსკ-ის 32-ე მუხლით პროკურორს გამოძიების სრული მოცულობით ჩატარების უფლებამოსილებაც აქვს. რომლის დროსაც პროკურორი გამომძიებლის ყველა უფლებამოვალეობებით სარგებლობს. ამიტომაც, პროკურატურა ხშირად საგამომძიებო უწყებად აღიქმება. ამდენად სსსკ-ის 32-ე მუხლის თანახმათ, პროკურატურას აქვს შემდეგი ფუნქციები:

„1.სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;

2.გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა;

3.სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა;

4.გამოძიების სრულიმმოცულობით ჩატარება."

ზემოთ ავღნიშნეთ, რომ სსსკ-ის 32-ე მუხლი ერთმანეთთან აკავშირებს საპროკურორო და საგამომმძებო ფუნქციებს. პროკურატურას ეს უფლება მინიჭებული აქვს "პროკურატურის

[13] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ 30/11/2018 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382740?publication=2

[14] პ. მონიავა და სხვ., საპროკურორო სამართალი, „იურისტების სამყარო". თბ., 2015. გვ.54

შესახებ" საქართველოს 2018 წლის 30 ნოემბრის კანონით, რომლის მე-2 თავის მე–4 მუხლი, იგი პროკურატურას დამატებით ფუნქციებსაც ანიჭებს. ესენია:[15]

„1. პროკურატურა კანონით დადგენილი წესით:

ა) ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას;

გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას;

დ) ზედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობის იმ ნაწილს, რომელიც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით ექცევა საპროკურორო უფლებამოსილების ფარგლებში;

ე) რეაგირებას ახდენს თავისუფლებააღკვეთილ და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე და ასრულებს საპროცესო მოვალეობებს იმ დაწესებულებებში, რომლებიც სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებით ღონისძიებებს აღასრულებენ;

ვ) სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას;

„ზ) სახელმწიფოს სახელით, როგორც მოსარჩელე, მონაწილეობს რეკეტირის, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს" წევრის/ „კანონიერი ქურდის", ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 3311 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეებში;

თ)ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;

ი)კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და დანაშაულის პრევენციას. „

2. აკრძალულია პროკურატურისათვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც გათვალისწინებული არ არის საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით."[16]

---

[15] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ 30/11/2018
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382740?publication=2

პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. პროკურორი დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს სსსკ-ის 166-ე მუხლის თანახმად. სწორედ 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, როცა ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პროკურორებს მიენიჭა დისკრეციული უფლებამოსილებები.

ძველი სსსკ-ი არ ცნობდა დევნის დისკრეციული უფლებამოსილების ცნებას. აქედან გამომდინარე როცა ყველა მტკიცებულება, რომელიც სტანდარტით გათვალისწინებული იყო, არსებობდა დანაშაულის დასამტკიცებლად, პროკურორი ვალდებული იყო დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა იმ პირის მიმართ რომელიც დანაშაულში ეჭვმიტანილად ითვლებოდა.

პ. მონიავა თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ: „დისკრეციული უფლებამოსილების არსი, საჯარო ინტერესის არარსებობის მოტივით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმაში ან დევნის შეწყვეტაში მდგომარეობს. ამ დროს არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს ქმნის, მაგრამ პროკურორი, საჯარო ინტერესის არარსებობის გამო, მიზანშეწონილად მიიჩნევს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმას ან დაწყებული დევნის შეწყვეტას.[17]“

ყველა მუხლი, რომლებიც პროკურორებს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებებას, გასათვალისწინებელი კრიტერიუმების ჩამონათვალს არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღების დროს, სსსკ-ის მე-16 მუხლი აღნიშნავს “სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.”

სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, “სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა შეწყდეს ან საერთოდ არც დაიწყოს, თუ ის წინააღმდეგობაში მოდის სისხლისსამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებთან”. ამასთან პ. მონიავა თავის ნაშრომში აღნიშნავს: „სისხლისსამარტლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის – განრიდების გამოყენებისგან განსხვავებით, სსსკ-ი არც დანაშაულის კატეგორიების მიხედვით, აწესებს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაზე შეზღუდვას. შესაბამისად, სსსკ-ის თანახმად, პროკურორი

---

[16] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ 30/11/2018 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382740?publication=2

[17] პ. მონიავა და სხვ., საპროკურორო სამართალი, „იურისტების სამყარო“. თბ., 2015. გვ.42

უფლებამოსილია დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენოს როგორც ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის, ისე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ."[18] ერთი შეხედვით, ამგვარი ფართო დისკრეციულა უფლებამოსილებები თეორიულადაც უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობებს უწყობს ხელს, აქედან გამომდინარე მას შერჩევითი დევნის სახელი ეწოდება. მეცნიერებს მიაჩნიათ რომ თუ არ იქნება კანონისმიერი კონტროლი პროკურორებს შეეძლებათ სუბიექტური ფაქტორიდან გამომდინარე მიიღონ გადაწყვეტილება. აშშ-ს კანონმდებლობა შერჩევითი დევნის განხორციელების მტკიცების ტვირთს ბრალდებულს აკისრებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარში, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით საუბარია იმაზე რომ:[19] „იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ში არსებობს დევნისგანხორციელების სამართლიანობის პრეზუმფცია, ბრალდებული ვალდებულია ამტკიცოს, რომმის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისდაწყება სუბიექტური მოტივებით იყო განპირობებული[20] ვინაიდან მსგავს გარემოებებში თანაბარი სიმძიმის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. აღსანიშნავია, რომ პროკურორისთვის საქართველოს სსსკ-ით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი. კანონი პროკურორის უფლებამოსილებას ერთგვარ ჩარჩოებში აქცევს, რითაც მისი ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად მყარ გარანტიებს ქმნის."[21] ერთის მხრივ, ასეთ გარანტად გვევლინება საქართველოს გენერალური პროკურორი, ასევე მოქმედი სსსკ-ი. დღეს არსებული სსსკ-ში აღნიშნულია, რომ: „დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომ პროკურორთან, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ერთგვარ გარანტს წარმოადგენს."

ავღნიშნეთ, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, როცა საჯარო ინტერესი არ არსებობს იგი გამოიხატება შემდეგში. უარი ან შეწყვეტა სისხლისსამარტლებრივი დევნის დაწყებაზე. თუმცაღა იმისათვის რომ, საჯარო ინტერესის შეფასების კრიტერიუმები განვიხილოთ, მნიშვნელოვანია: 1). მიმოვიხილოთ არსებული მტკიცებულებების სტანდარტები

[18] პ. მონიავა და სხვ., საპროკურორო სამართალი, „იურისტების სამყარო". თბ., 2015. გვ.43
[19] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით თბ. 2015 გვ.157
[20] იქვე; გვ.157
[21] იქვე; გვ.158

და ის საპროცესო საფუძვლებები, რომლების არარსებობის შემთხვევაში სისხლისსამარტლებრივი დევნის არდაწყებადა შეწყვეტა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით შეუძლებელს გახდიდა. „პროკურორს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება შეუძლია გამოიყენოს იმ შემთხვევაში, თუ: -სახეზე გვაქვს დანაშაულებრივი ქმედებები; -დადგენილია იმ პირის ვინაობა რომელმაც დანაშაული ჩაიდინა; -საკმარისად არის შეკრებილი მტკიცებულებები, რაც დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისია, რომელიც ამტკიცებს დანასაულებრივი ქმმედება ჩადენილია მოცემული პირების მიერ. „

პ. მონიავა თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ: „დასაბუთებული ვარაუდები წარმოადგენს მტკიცებულებების სტანდარტებს, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-არდაწყების და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.“[22]

„პროკურორი ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს, დარწმუნებული უნდა იყოს არამხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების ფაქტზე, ასევე დარწმუნებული ინდა იყოს პირის ბრალეულობაშიც.“[23] იმისათვის რომ პროკუროის მიერ ობიექტურად იქნას შეფასებული არსებობს თუ არა საჯარო ინტერესი, აუცილებელია კონკრეტული პირის დადგენა, აქვე უნდა ავღნიშნოთ რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33–ე მუხლი გასაგებად განსაზღვრავს პროკურორის უფლებამოსილებას, კერძოდ:[24]

„1. პროკურორი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი.

2. სასამართლოში თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას პროკურორი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

3. ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული უკანონო ან/და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, შეიტანოს მასში ცვლილება ან შეცვალოს იგი ახალი გადაწყვეტილებით.

4. პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომაში.

5. ამ კოდექსის საფუძველზე გამოძიებისას პროკურორის დადგენილების შესრულება სავალდებულოა.

---

[22] მონიავა პ; და სხვ., საპროკურორო სამართალი, „იურისტების სამყარო“. თბ., 2015. გვ.74

[23] იქვე; გვ.74-75

[24] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2019 წლის 29 მაისის მდგომარეობით https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=106

6. პროკურორი უფლებამოსილია:

ა) საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაავალოს ამა თუ იმ სამართალდამცავ ორგანოს ან გამომძიებელს; საქმე ჩამოართვას ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს. საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს; გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს;"

„ბ) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით;

გ) გამოძიებისას სავალდებულო მითითება მისცეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს ან/და ქვემდგომ პროკურორს; [25]

დ) მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალები ან მთლიანად სისხლის სამართლის საქმე;

ე) ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ადამიანის უფლებათა შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების ან/და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების მისაღებად, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს;

ვ) გააუქმოს გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის დადგენილება;

ზ) შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება ან შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა;

თ) გადაწყვიტოს საჩივარი გამომძიებლის მოქმედების ან/და დადგენილების გამო, ხოლო მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს;

ი) შეცვალოს ბრალდება;

კ) ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;

ლ) სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულება, მონაწილეობა მიიღოს მისი დასაშვებობის საკითხის განხილვაში;"

---

[25] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2019 წლის 29 მაისის მდგომარეობით https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=106

„მ) სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით;

ნ) მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება;

ო) გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ძებნის შესახებ;

პ) პირი ცნოს დაზარალებულად და განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობები;

ჟ) განახორციელოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.[26]“

იმისათვის რომ დისკრეციული უფლებამოსილება იქნეს გამოსაყენებული აუცილებელია მტკიცებულებების სტანდარტების დაკმაყოფილება და საჯარო ინტერესების შეფასება, რაზეც აშშ-ს შტატების კანონმდებლობებიც კი მიუთითებს. იმისათვის, რომ შევაფასოთ საჯარო ინტერესი, კრიტერიუმად შერჩეულია საქმის სიძლიერე, სისხლისსამართ-ლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, სისხლისსამართლის პოლიტიკასთან კონკრეტული საქმის გარემოებების შესაბამისობის განსაზღვრა. სწორედ რომ სსსკ-ის 166-ე მუხლის თანახმად პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება/შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

როგორც წინა თავში ავღნიშნეთ, 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ–ში, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურორის ვალდებულება იყო “პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი ვალდებული არის წამოიწყოს სისხ-ლისსამართლებრივი დევნა, თუ საამისოდ არსებობს საკმარისი საფუძველი[27]“, ძველი სსსკ–ი დევნის დისკრეციული უფლებამოსილების ცნებას არ იცნობდა. მოცემული პირობიდან პროკურორი ვალდებული იყო პირის მიმართ დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.[28]

გამოძიების მიმდინარეობის დროს სახელმმწიფოს ფართო ადმინისტრაციული და მატერიალური რესურსების შეზღუდვისათვის ძალზედ კრიტიკული მნიშვნელობა აკისრია, რათა, როგორც გამოძიების ისე საპროკურორო ორგანოები ერთმმანეთისგან დისტანცირებულნი იყვნენ ინსტიტუციურადაც და ოპერაციულადაც. საჭირო არის კანონმდებლობებით კარგად და ნათლად იყოსჩამოყალიბებული როგორც გამომძიებლის ისე პროკურორის ფუნქციები და სტატუსები, ინსტიტუციური სახესხვაობები. მიუხედავად იმისა

[26] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2019 წლის 29 მაისის მდგომარეობით https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=106

[27] სსსკ, **1998** წლის **20** თებერვლის რედაქცია, მუხლი **22**

[28] მონიავა პ., და სხვ., საპროკურორო სამართალი, „იურისტების სამყარო“. თბ., 2015. გვ.54-55

რომ ქართულ კანონმდებლობაში კარგად არის განსაზღვრული პროკურეორების სტატუსები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სისხლის სამართლებრივი დევნის ფუნქციაც. მის უფლებამოსილებაში შედის ასევე საპროცესო ხელმძღვანელობა გამოძიების სტადიაზე.“[29]

„პროკურორი ეს არის სუბიექტი რომელიც გამოძიების დაწყებისთანავე ერთვება საქმეში. ის აძლევს მითითებებს გამომძიებლებს. მას ასევე შეუძლია საქმე ჩამოართვას გამომძიებელს და გადააბაროს სხვას. ან თავადვე გააგრძელოს გამოძიება. კანონმდებლობით პროკურორის მსგავსი ქმედებები შეზღუდული არ არის.“

საპროცესო კოდექსით ასევე დადგენილია პროკურორის სავალდებულო მონაწილეობა ცალკეული საგამმოძიებო ღონისძიებებში დასაპროცესო მოქმედებებთან მიმართებით. უფრო რომ დავკონკრეტდეთ, პროკურორის უფლებამოსილებაშია, მიმართოს სასამართლოს ისეთ საგამომძიებო ანსხვა საპროცესო მოქმედებებზე ნებართვის მიღებისმიზნით, რომლის მეშვეობითაც შეეზღუდება ადამიანს თაისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები. ასეთი ღონისძიებები მოიცავს საკმაოდ ფართო ჩამონათვალს: ჩხრეკა–ამოღება, ფარულ საგამომძიებრო ღონისძიებები, მოწმის დაკითხვა სავალდებულო წესით დასხვა. რაც შეეხება გამომძიებელს მას პროკურორისაგან განსხვავებით ეს უფლებამოსილება, რომ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება არ გააჩნია. აქედან გამომდინარე გამომძიებელი მთლიანად დამოკიდებული არის პროკურორზე რათა წარმართოს გამოძიება. პრაქტიკაში მტკიცებულებების მოპოვება სხვადასხვა საგამომძიებო უწყებებსში განსხვავებულათ მიმდინარეობს. მტკიცებულებების მოპოვება უშუალოდ პროკურორის ჩართულობით და მითითებებით ხორციელდება. ასევე ძირითადი საგამომძიებო მოქმედებებიც პროკურორის ჩართულობით და მითითებებით ხორციელდება. გამოძიებაში პროკურორის აქტიური ჩართულობის მიზეზია ისიც, რომ გამომძიებლები უმეტესად პასუხისმგებლობის თავიანთ თავზე აღების რისკს გაურბიან. რაც მათ კვალიფიკაციის პრობლემებზე მეტყველებს.

„სხვადასხვა საგამომძიებლო ორგანოებში, მაგ: ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებლო სამსახურში მტკიცებულებების მოპოვება ხდება გამომძიებლის მიერ შემდგარი გეგმით, რომელსაც კომუნიკაცია აქვს საქმის პროკურორთან. იმ შემთხვევაში თუ საქმე არის მარტივი გამომძიებელი ამ შემთხვევაში აბსოლიტურად დამოუკიდებელია და თავად წარმართავს საქმეს. პროკურორი ნაკლებად ერევა საქმის მსვლელობაში. საინტერესოა ასევე კვალიფიკაციის საკითხი, რომლის დროსაც იკვეთება როგორც სისხლის სამართლებრივი დანაშაული ასევე სხვა

[29] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით თბ. 2015 გვ.159-160

სამართლებრივი დანაშაულიც, მაგალითად სამოქალაქო.“ მაგ.: როგორიცაა თაღლითობა. ამ შემთხვევაში იკვეთება როგორც სისხლის ისე სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციაც. მთავარი პრობლემა ისაა რომ ქვეყანაში, არ არსებობს სპეციალიზებული საგამომძიებო ორგანოები, რომლეიც ორიენტირებული იქნებოა მსგავსი სახის საგამომძიებლო საქმეებზე. ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს პროკურორის ფართო უფლებამოსილებებს, რომელიც მოიცავს გამოძიებას ყველა სტადიაზე.

2.3. პროკურორის უფლებამოსილების ფარგლები

პროკურორის უშუალო ვალდებულებაა მონაწილეობდეს ყველა საქმის განხილვაში როგორც სახელმწიფო მბრალდებელი, ის იღებს მონაწილეობას როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში ისე სააპელაციო წარმოების სტადიაზეც. პროკურორი საკასაციო წარმოების სტადიაზე მხარს უჭერს თავის საჩივარს, გამოთქვამს თავის დასაბუთებულ აზრს, როგორც მხარე. პროკურორის უფლებამოსილებები სასამართლოშიც აისახება, ის აკათებს განაცხადს როგორც შუამდგომლობაზე ისე აცილებაზე. წარადგენს მტკიცებულებებს რომელიც მოიპოვა და ასევე დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევაშიც იღებს მონაწილეობას. მას აქვს ასევე უფლება გამოთქვას თავისი აზრი ყველა იმ საკითხზე რომელიც საქმის განხილვის მსვლელობისას წამოიჭრება. ის სასამართლოში აფიქსირებს თავის პოზიციას, რათა დაამტკიცოს ბრალდება და ა.შ.

„პროკურატურას ძირითად ფუნქციად აქვს სამართლებრივი დევნა და გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობა იმ ერთ ფუნცქიასთან ერთად, რომელსაც ბრალდების მხარდამჭერი ფუნქცია ჰქვია. საკითხავია, რჩება თუ არა პროკურატურა მნიშვნელოვან (მძიმე და განსაკუთრებით მძიმე) საქმეებზე გამოძიების ფუნქციის მატარებელი, თუ უნდა დათმოს ეს ფუნქცია და მხოლოდ დევნის ფუნცქია შეინარჩუნოს სასამართლოში ბრალდების ფუნცქციასთან ერთად.”[30]

„პროკურორი სასამართლოში წარმოდგენილია როგორც სახელმწიფო. მისი მოთხოვნაა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა. პროკურორი მოქმედებს მხოლოდ კანონის ფარგლებში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით „ბრალდებული ვალდებული არაა თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს. პროკურორია ვალდებული ბრალდება დაამტკიცოს.

[30] https://heinonline.org/HOL/P?h=hein.beal/iceinhelav0003&i=74courts of law and equity 1839y.gp 30

პროკურორს შეუძლია ასევე შეცვალოს ან უარი თქვას ბრალდებაზე, იმ შემთხვევაში როცა მტკიცებულებები პირის ბრალეულობას არადასტურებს.“[31] გასათვალისწინებელია ისიც რომ ბრალდების ნაწილობრივ ან მთლიანად მოხსნას სსსკ-თანერთად პროკურორს “პროკურატურის შესახებ” საქარტველოს ორგანული კანონიც ანიჭებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოში,საქმის სააპელაციო დასაკასაციო განხილვის დროს პროკურორის მონაწილეობა არის სავალდებულო. პროკურორი ვერ იტყვის უარს სასამართლოში მონაწილეობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი არსებობს თვითაცილების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები. სასამართლო სხდომებზე პროკურორი სარგებლობს ფართო უფლებამოსილებებით. სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დასაწყისში და დასასრულში პროკურორი მოსამართლეების ან ნაფიც მსაჯულთა წინაშე გამოდის შესავალი და დასკვნითი სიტყვეით. წარმოადგენს მტკიცებულებებს, ასევე მონაწილეობას ღებულობს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევისას. მას ასევე შეუძლია ისარგევლოს შუამდგომლობის დაყენების უფლებით. საინტერესო ფაქტია ის რომ 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პროკურორის უფლებამოსილებაში სასჯელის მოთხოვნაც შეიძლებოდა. დღეს მომქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით პროკურორს სასამართლო სხდომებზე სასჯელის მოთხოვნის უფლება არ ააქვს. სასჯელი განისაზღვრება მოსამართლეების მიერ.[32]

პრაქტიკაში სადავო საკითხს წარმოადგენს პროკურორის უნდა გააჩნდეს თუ არა სასჯელთან მიმართებით თავისი პოზიციის დაფიქსირება. სსსკ-ის შესაბამისი მუხლების ანალიზით, პროკურორი მსგავსი უფლებამოსილებით უნდა სარგებლობდეს, სხვაგვარად ის მოკლებული აღმოჩნდება სასჯელის ნაწილში განაჩენის გასაჩივრების შეს- აძლებლობას ან ამგვარი გასაჩივრება იქნება ფორმალური ხასიათის. საუბარია სსსკ-ის 298-ე და 308-ე მუხლებზე. სსსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილი აღნიშნავს: „სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში.“ რაც შეეხება 308-ე მუხლის მე-2 ნაწილს, ის აღნიშნავს, რომ: „საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა საკასაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის და სააპელაციო

[31] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2019 წლის 29 მაისის მდგომარეობით https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=106

[32] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2019 წლის 29 მაისის მდგომარეობით. https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=106

სასამართლოებში.“[33] იმ შემთხვევაში თუ მხარეს არ მიეცა უფლება სას- ჯელთან დაკავშირებით დააფიქსიროს თავისიპოზიცია სასამართლოში მაშინ კანონით გათვალისწინებული ნორმა ვერ მიიღწევა. სწორედ სსსკ-ის 298-ე და 308-ე მუხლებია რომლებიც პირდასპირ მიუთითებეს პოზიციის დაფიქსირების აუცილებლობაზე. „სხვაგვარად მხარისმოთხოვნით საქმისგანხილვა ზემდგომ ინსტანციაშიც ფორმალურ ხასიათს მიიღებს.“[34]

2.4. სხვა ქვეყნების გამოცდილებების მოკლე მიმოხილვა

საერთაშორისო პრაქტიკა პროკურატურის და სასამართლო სისტემებში კოლეგიური ორგანოს ფუნქციონირების ორ განსხვავებულ მოდელს იცნობს. ზოგიერთ იურისდიქციაში, (მსგავსი რეგულირება ძირითადად რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, ამ მოდელის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს გერმანია.) ერთი კოლეგიური ორგანო ერთობლივად მუშაობს პროკურატურის და სასამართლო ხელისუფლების საკითხებზე (ამ ტიპის იურისდიქციებს განეკუთვნება იტალია, საფრანგეთი, ბელგია, ესპანეთი.) სხვა სამართლებრივ სისტემებში კი, მათი უფლებამოსილება გამიჯნულია (უფლებამოსილებათა ამგვარი გამიჯვნის მაგალითია ალბანეთი, სერბეთი, ხორვატია, პორტუგალია.) განსხვავებული რეგულირების შესაბამისად, მიმოხილვაში აქცენტი იმ ქვეყნებზე გაკეთდება, რომლებიც მეტნაკლებად ახლოს დგას საკონსტიტუციო რეფორმით შემოთავაზებულ მოდელთან.

პროკურატურის უმაღლესი საბჭო კოლეგიური ორგანოს სახით არსებობს პორტუგალიაში. საბჭო ჯამში 16 წევრისგან შედგება, საიდანაც წევრთა უმრავლესობას სხვადასხვა დონის პროკურორები ქმნიან. საბჭოს შემადგენლობაშია ხუთი წევრი საპარლამენტო მანდატით და იუსტიციის სამინისტროს ორი წარმომადგენელი. პროკურორი წევრები საბჭოს შემადგენლობაში 3 წლის ვადით აირჩევიან, ხოლო პარლამენტის და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები ამავე უწყების უფლებამოსილების ვადით. პროკურორი წევრების მონაწილეობა საბჭოს საქმიანობაში არ არის მოხალისეობრივი და ის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს. სხვა

[33] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2019 წლის 29 მაისის მდგომარეობით. https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=106

[34] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2019 წლის 29 მაისის მდგომარეობით. https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=106

ქვეყნების პრაქტიკისგან განსხვავებით, ამ მოდელში კანონი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის რეგულაციას არ იცნობს. საბჭოს ძირითადი უფლებამოსილება პროკურატურის სისტემაში საკადრო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებაა. ამ მიმართულებით საპროკურორო საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა. საბჭო უფლებამოსილია დაამტკიცოს გენერალური პროკურატურის საქმიანობის წესი, პროკურატურის ბიუჯეტის პროექტი. საბჭოს შეუძლია წარუდგინოს გენერალურ პროკურორს სავალდებულო აქტები დასამტკიცებლად და გენერალური პროკურორის მეშვეობით, იუსტიციის მინისტრის წინაშე დასვას, პროკურატურის საქმიანობის განმსაზღვრელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილების საკითხი. საბჭო გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებს, სადაც გადამწყვეტი ხმის უფლებით გენერალური პროკურორი სარგებლობს. საბჭოს ფარგლებში იქმნება დისციპლინური სექცია, რომელიც გენერალური პროკურორის, მისი მოადგილის, ხუთი სხვადასხვა დონის პროკურორის და იუსტიციის სამინისტროს ერთი წარმომადგენლისგან შედგება. იუსტიციის მინისტრს აქვს უფლება დაესწროს სხდომებს სურვილისამებრ. საბჭო გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, მარტივი უმრავლესობით იღებს, ხოლო გადამწყვეტი ხმის უფლებით გენერალური პროკურორი სარგებლობს.

უმაღლეს საბჭოში, წევრთა უმრავლესობით არის პროკურატურა წარმოდგენილი ასევე ალბანეთში. საბჭოს თერთმეტი წევრიდან ექვსი პროკურატურის წარმომადგენელია, ხოლო 5 წევრს კონკურსის საფუძველზე ირჩევს პარლამენტი, რომლებიც პროფესიით იურისტები უნდა იყვნენ. პარლამენტის მიერ არჩეული ხუთი წევრიდან ორი უნდა აირჩეს ადვოკატთა სექტორისგან, ორი სამართლის სკოლის პროფესორებისგან, ხოლო ერთი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან. საბჭოს ძირითადი უფლებამოსილება გენერალური პროკურორის კანდიდატის შერჩევა და პარლამენტისთვის წარდგენაა.

საფრანგეთში, პროკურატურა ეკუთვნის აღმასრულებელ ხელისუფლებას და ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, სასამართლო ორგანიზაციის კოდექსით და 58 58-1270 დადგენილებით განსაზღვრულია ბრალდების ორგანიზება და მისი ფუნქციები, აგრეთვე პროკურორის საპროცესო სტატუსი. პროკურატურის თანამდებობის პირები ახლოს არიან სასამართლო ხელისუფლებასთან (ორივეს მაგისტრატი ეწოდება), რადგანაც მათ აქვთ იგივე დონის ტრენინგი და მათი კარიერის ზრდის პროცესში ისინი პროკურატორებიდან მოსამართლეებზე გადადიან და პირიქით.

საფრანგეთში პროკურატურა არის საჯარო ორგანო, რომელიც აკონტროლებს საკანონმდებლო ნორმების დაცვას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს.

პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის ერთიანობის პრინციპი, რაც უზრუნველყოფილია მოსამართლეთა და პროკურორის ფუნქციების ურთიერთდაკავშირებით. მისი კარიერის ნებისმიერ ეტაპზე პროკურორს შეუძლია გადავიდეს მოსამართლის თანამდებობაზე და პირიქით. ეს შესაძლებლობა პროფესიული გამოცდილების გაფართოებისა და გაძლიერების წყაროა.

საფრანგეთის პროკურატურა არის ცენტრალიზებული სისტემა. იგი გამოხატულია ისეთი პოზიციებით, როგორიცაა გენერალური პროკურორი, გენერალური პროკურორი და მათი მოადგილეები სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში, რესპუბლიკის პროკურორები და მათი მოადგილეები უმაღლეს სასამართლოებში, რომლებსაც აქვთ სასამართლო სისტემის მაგისტრატი. პროკურატურის სტრუქტურა მსგავსია სასამართლოს სტრუქტურისა. პროკურატურა შექმნილია საზოგადოების ინტერესების დასაცავად, ამიტომ ზოგიერთ თანამდებობას, მაგალითად, გენერალური პროკურორის თანაშემწეებს, უწოდებენ გენერალურ ადვოკატებს.

თითოეულ სააპელაციო სასამართლოში არის გენერალური პროკურორი და მისი თანაშემწეები, რომელიც უშუალოდ იუსტიციის მინისტრის დაქვემდებარებაშია. მისი კონტროლის ქვეშ იმყოფება აგრეთვე სასამართლო პოლიციის წარმომადგენლები. გენერალური პროკურორი უშუალოდ ან მისი მოადგილეების მეშვეობით მხარს უჭერს პროკურატურას სააპელაციო სასამართლოში და ნაფიც მსაჯულებში. რესპუბლიკის პროკურორები დაქვემდებარებულნი არიან მცირე და დიდ სასამართლოებს, გამოსწორების ტრიბუნებს და ტრიბუნალის ფარგლებში ახორციელებენ სისხლის სამართლის დევნას ყველა. ისინი ასევე უშუალოდ ან მათი წარმომადგენლების მეშვეობით მხარს უჭერენ ბრალდებას, რომელიც გამოიტანა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ და, საჭიროების შემთხვევაში, პოლიციის ტრიბუნალებში.

პროკურატურა ასევე არის ანგარიშების პალატის დაქვემდებარებაში. მასში შედიან გენერალური პროკურორი და მისი ორი მოადგილე. ამ პროკურატურის მიზნებია სასამართლო პრაქტიკის ერთიანობისა და სახელმწიფოს წარმომადგენლობის დაცვაზე დაკვირვება. ადვოკატების გენერლები უშუალოდ იუსტიციის მინისტრის დაქვემდებარებაში არიან. მათ უფლება აქვთ, სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციის შესაბამისად, მიაწოდონ

სავალდებულო მითითებები ქვედა დონის პროკურორებს. რესპუბლიკის პროკურორი ექვემდებარება პროკურატურის წარმომადგენლებს პოლიციის ტრიბუნალებში.

რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრის წინადადებით და მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს პალატის დამტკიცებული დასკვნის საფუძველზე, რომელიც კომპეტენტურია პროკურორებისთვის, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან აყენებს მათ.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს პალატში შედიან:

- რესპუბლიკის პრეზიდენტი;
- იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- ხუთი პროკურორი;
- მსაჯი;
- სახელმწიფო მრჩეველი;
- სამი ადამიანი, რომლებიც არ არიან სასამართლო სისტემის და პარლამენტის წევრები.

საკასაციო და სააპელაციო სასამართლოების ორგანოებში გენერალური პროკურორები ინიშნება პრეზიდენტის ბრძანებულებით პალატის აუცილებელი დასკვნის გარეშე. პალატის კომპეტენციაა მოსაზრების გამოხატვა პროკურატურის თანამდებობის პირებზე დისციპლინური სანქციების დაწესების შესახებ.

პროკურატურა საქმიანობს შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

- იერარქიული დაქვემდებარება; მთლიანობა; პასუხისმგებლობა; დამოუკიდებლობა..

იუსტიციის მინისტრის დაქვემდებარებაში ყოფნისას, პროკურორები დაქვემდებარებულნი არიან უფრო მაღალი მენეჯერებისთვის, მაგრამ მოსამართლეებისგან განსხვავებით, ისინი შეიძლება შეიცვალოს სხვა პირებით. პროკურორის საქმიანობა განიხილება, როგორც მთელი პროკურატურის საქმიანობა. პროკურატურა არ არის პასუხისმგებელი იმ საკანონმდებლო დარღვევებზე, რომლებიც ჩადენილი იქნა სისხლისსამართლებრივი დევნის დროს. იგი ვერ მონაწილეობს იურიდიული ხარჯების ანაზღაურებაში და უდანაშაულო ადამიანისთვის ზიანის ანაზღაურებაში. ეს დამოუკიდებლობის გარანტიაა და ათავისუფლებს პროკურორს მოქალაქეების მხრიდან ზეწოლაზე. როგორც სისხლის სამართლის პროცესის ნაწილი, პროკურორები დამოუკიდებლები არიან სასამართლოსა და მხარეებისგან.

თეორიულად, პროკურორების გადაყენება შესაძლებელია, იგი ასევე ექვემდებარება დისციპლინურ სანქციებს, მაგრამ პრაქტიკაში მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებები მიიღება საკმაოდ იშვიათად. ვინაიდან შესაძლებელია საზოგადოებამ მსგავსი გადაწყვეტილება აღიქვას როგორც პოლიტიკური ძალაუფლების ჩარევა სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში.

სისხლის სამართლის პროცესი საფრანგეთში რამდენიმე ეტაპად ხორციელდება:

- გამოძიება;
- წინასწარი გამოძიება (პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ);
- სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება;
- საცდელი;
- სააპელაციო წარმოება;
- საკასაციო წარმოება.

პროკურატურას უფლება აქვს დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, განახორციელოს კონტროლი წინასწარი გამოძიების საფუძველზე და მხარი დაუჭიროს სასამართლოს ბრალდებას. პროკურორი მიჰყვება პოლიციის გამოძიების ხელმძღვანელობას, რომელსაც ახორციელებენ კომისრები, ოფიცრები და სასამართლო პოლიციის აგენტები. საფრანგეთის სასამართლო პოლიცია (პოლიცია და ჟანდარმერია) აწარმოებენ სისხლის სამართლისსაქმეების გამოძიებას.

წინასწარი გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო მოსამართლე, რომელიც ორგანიზაციულად ემორჩილება სასამართლო ხელისუფლებას. თავის მხრივ იყოფა პირველი ინსტანციის საგამოძიებო ორგანოდ - მოსამართლეები, რომლებიც ინდივიდუალურად ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, ხოლო მეორე ინსტანციის მოსამართლეები - საგამოძიებო პალატებს, რომლებიც კოლეგიურად ასრულებენ თავიანთ საქმიანობას. ერთად ეს ორგანოები ქმნიან იერარქიულ სისტემას.

გამომძიებელ მოსამართლეს ეძლევა მაგისტრატის სტატუსი და თანამდებობაზე ინიშნება იმ ფორმით, რომელიც ცალკეა დადგენილი მაგისტრატებისთვის, მისთვის მინიჭებული დამოუკიდებლობისა და შეუქცევადობის გარანტიებით. თითოეულ გამომძიებელს ეკისრება მდივნის თანაშემწის მოვალეობა, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა სასამართლო პროცესში.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ის არ მონაწილეობს ფაქტთან დაკავშირებით საქმეების გადაწყვეტაში, არამედ მხოლოდ ადგენს ფაქტებს, რომლებიც შესაბამისია სისხლის სამართლის კანონის დარღვევისთვის. ასევე, მოსამართლეს არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს იმ სისხლის სამართლის საქმეების განხილვაში, რომლითაც იგი იყო დაკავებული როგორც გამომძიებელი მოსამართლე.

თავი III. პროკურორის როგორც ბრალმდებლის როლი სასამართლო პროცესში

3.1. სახელმწიფო ბრალმდებელი პირველი ინსტანციის სასამართლოში

სისხლის სამართლის საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში –ძირითადი და უმნიშვნელოვანესი სტადიაა სისხლისსამართლის პროცესის, რომელშიც სასამართლო არსებითად იხილავს საქმეს, იკვლევს ყველა მნიშვნელოვან გარემოებას, ამოწმებს და აფასებს მტკიცებულებებს და გამოაქვს განაჩენი, რითაც განსასჯელის მიმართ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას შინაგანი რწმენით და კანონის საფუძველზე.

საქმის სასამართლო განხილვისას სასამართლო გარკვეულწილად შებოჭილია ბრალდების ფარგლებით. საქართველოს სსსკ–ის მიხედვით, სასამართლო განხილვა ტარდება მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში რომელიც ბრალდებულის მიმართაა, რის საფუძველზეც საქმე სასამართლოში წარმართეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებულის სასარგებლოდ პროკურორი ბრალდებას ცვლის.[35]

იქიდან გამომდინარე, რომ მთელი სისხლის სამართლის პროცესის სიმძიმის ცენტრი მოდის სასამართლო განხილვის სტადიაზე, – პროკურორის მონაწილეობა სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოადგენს მისი საქმიანობის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს.[36] სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა სასამართლოში – პროკურორის მოღვაწეობის ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და მიჩნეულია კანონიერი, დასაბუთებული განაჩენის გამოტანის უზრუნველყოფის გარანტიად. პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, სარგებლობს მხარის პროცესუალური სტატუსით, ჰყავს მოწინააღმდეგე მხარე და ბრალდებისა და დაცვის მხარეების საქმიანობა სასამართლოში ხორციელდება სრული თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

პროკურორის მონაწილეობას სასამართლო განხილვაში აწესრიგებს საქართველოს სსსკ 33-ე და სხვა მუხლები, რომლებიც, ამავე დროს, ადგენენ მის უფლებამოსილებას:[37] პროკურორი როგორც ავღნიშნეთ პირველი ინსტაციის სასამართლოში წარმოადგენს სახელმწიფო მბრალდებელს, მას ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა; სახელმწიფო ბრალდების

[35] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.64

[36] იქვე. გვ. 64

[37] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ. 65

მხარდაჭერისას იგი ხელმძღვანელობს კანონის მოთხოვნით, ასევე თავისი ღრმა რწმენით, რაც გამყარებულია სასამართლო გამოძიებისას განხილული მტკიცებულებების საფუძველზე; პროკურორს შეუძლია უარი განაცხადოს ბრალდებაზე, თუ რათქმაუნდა სასამართლო განხილვის დროს იგი არ დადასტურდება; პროკურორის მოვალეობაა წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების გამოკვლევაში, პროკურორს ასევე შეუძლია განაცხადოს შუამდგომლობა, ან აცილება, მას ასევე შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი ყველა იმ საკითხთან მიმართებაში რაც სასამართლოში საქმის განხილვის დროს წამოიჭრება; პროკურორს ასევე შეუძლია ბრალდების შეცვლა ბრალდებულის მიმართ, ასევე მოითხოვოს საქმის უკან დაბრუნება დამატებით გამოძიებაში უფრო მკაცრი ბრალდების წასაყენებლად. ამასთან, პროკურორი მოვალეა, მონაწილეობა მიიღოს საჯარო ბრალდების ყველა სისხლის სამართლის საქმის განხილვაში.[38]

ადრე მოქმედი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 270-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო სხდომაზე პროკურორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო წყვეტდა საკითხს მის გარეშე საქმის განხილვის შესაძლებლობის შესახებ, რადგან პროკურორის მონაწილეობა ყველა საქმის განხილვაში აუცილებელი არ იყო. საკითხი წყდებოდა მისივე შეხედულებისამებრ, ხოლო საუწყებო ნორმატიული აქტებით განსაზღვრული იყო საქმეთა კატეგორიები, რომლებზეც პროკურორი ვალდებული იყო მხარი დაეჭირა სახელმწიფო ბრალდებისათვის. რუსეთის ფედერაციის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს, მის მონაწილეობას სავალდებულოდ მიიჩნევს საჯარო და კერძო–საჯარო ბრალდების საქმეებზე, როგორც ჩვეულებრივი წესით (246–ე მუხლი), ისე ნაფიცმსაჯულთა სასამართლოში (335–ე მუხლი).[39] ანალოგიურად წყდება საკითხი ბელორუსიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (სსსკ 34–ე მუხლის მე–8 ნაწილი),[40] რასაც ვერ ვიტყვით უკრაინაში დადგენილ პროცედურაზე, რომლის მიხედვით პროკურორი სასამართლოში საქმის განხილვისას მონაწილეობს ამ საქმის ხასიათის და საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით. სახელმწიფო ბრალდების მონაწილეობა სასამართლოში სავალდებულოა, აგრეთვე, სომხეთში, „პროკურატრის შესახებ“ კანონის 26–ე

---

[38] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.66

[39] Боботов В.Н. Крутских В.Е., Прокуратура в России и за рубежом. Изд-во «Норма», М. 2001. с. 68

[40] Уголовно-процессуальный кодекс Республики Белорусь. Изд-во «Юридический центр Пресс». Санкт-Петербург. 2001. с. 92

მუხლის საფუძველზე.[41] თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროკურორის სავალდებულო მონაწილეობას დღემდე ეწინააღმდეგება ზოგი პროცესუალისტი.[42]

სასამართლო გამოძიება იწყება სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ შესავალი სიტყვის წარმოთქმით (სსსკ 241–ე მუხლი). საპროცესო ლიტერატურაში ყოველთვის პოლემიკის საგანი იყო საკითხი, თუ ვინ უნდა გამოაქვეყნოს საბრალდებო სიტყვა. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ეს უნდა გააკეთოს სასამართლო სხდომის მდივანმა, როგორც საქმის შედეგებით ყველაზე დაუინტერესებელმა ფიგურამ. სხვები კი თვლიან, რომ საბრალდებო სიტყვა უნდა გამოქვეყნდეს პროკურორის მიერ. პროკურორი სასამართლოში მონაწილეობს სახელმწიფო ბრალდების მხარდასაჭერად, ბრალდების იმ თეზისების სამტკიცებლად, რომლებიც საბრალდებო სიტყვაშია ჩამოყალიბებული, ამიტომ ეს თეზისები სასამართლოს და მსმენელს სწორედ მან უნდა წარუდგინოს, სწორედ მან უნდა შეუქმნას აუდიტორიას ფსიქოლოგიური განწყობა საბრალდებო ვერსიის სასარგებლოდ.

პროკურორი წარადგენს საბრალდებო სიტყვის ძირითად ნაწილს და არა ბრალდების მთელ ფორმულირებას, რადგან ამით მსმენელი უმოკლეს დროში იგებს ბრალდების არსს. ასეთი წესი ნაკლებად ღლის აუდიტორიას.

იურიდიულ ლიტერატურაში დავის საგანს წარმოადგენდა საკითხი, რომ შესაძლოა, ბრალდებულის დამოკიდებულებამ წარდგენილი ბრალდებისადმი გავლენა მოახდინოს მტკიცებულებათა გამოკვლევის წესის განსაზღვრაზე, მაგ: განსასჯელი დაიკითხოს პირველ რიგში, თუ, გამოკვლეული იქნას სხვა მტკიცებულებები.[43]

ყოველი სისხლის სამართლის საქმეს სასამართლო გამოძიების სხვადასხვა ხერხები და მეთოდები გააჩნია, სხვადასხვანაირია საქმის გარემოებები, მრავალფეროვანია მტკიცებულებები, ამიტომ მტკიცებულებათა გამოკვლევისას შესაზლებელია გამოყენებული იქნას ხან ერთი, ხან მეორე მეთოდი, მთავარია მიზანი – მწყობრი, ლოგიკური, მეცნიერულად დასაბუთებული, თანმიმდევრული, ეფექტური ხერხების შემუშავების გზით მიღწეული იქნას მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა; ამისათვის კი პროკურორი რომელ მეთოდს შეარჩევს და რა თანმიმდევრობით გამოიკვლევს მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს – ეს მისი საქმიანობის ტაქტიკური

---

[41] Боботов В.Н. Крутских В.Е., Прокуратура в России и за рубежом. Изд-во «Норма», М. 2001. с. 74

[42] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.67

[43] იქვე; გვ.69

დაგეგმვაა, რომელშიც იგულისხმება მთელი სისტემა სასამართლო მოქმედებებისა, რომელიც დაფუძნებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონზე და მეცნიერების სხვადასხვა დარგების რეკომენდაციებზე.[44]

ამდენად, მტკიცებულებათა წარდგენა–გამოკვლევა უნდა დაიწყოს სახელმწიფო ბრალმდებელმა, ვინაიდან იგი, როგორც ბრალდების მხარე, ე.წ. „სისხლისამართლერივი მოსარჩელეა“, საზოგადოდ პროცესის ინიციატორია, რომელსაც უნდა უპასუხოს დაცვის მხარემ. სხვაგვარი პროცედურა შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების უხეში დარღვევა იქნებოდა, რომლითაც სასამართლო შეითავსებდა საბრალდებო ფუნქციას და ეჭვქვეშ დადგებოდა მისი ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, რაც სავსებით სამართლიანადაა გაკრიტიკებული.[45]

მტკიცებულებათა გამოკვლევის დაწყება პირველ რიგში სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ, სავსებით ლოგიკურია, რადგან შეჯიბრებითობის პრინციპი ამით მეტ გამომსახველობას იძენს. პირველ რიგში ბრალმდებლის მხარემ უნდა წარადგინოს. ვინაიდან მან შეიმუშავა ბრალდების თეზისები და მისი მტკიცებიოს ტვირთიც მასვე ეკისრება. წარადგენს რა მტკიცებულებებს, ამით პროკურორი მამხილებელ, საბრალდებო ფონს ქმნის; სასამართლო გამოძიება სწორედ მიზანდასახული, აქტიური უნდა იყოს და არა ნეიტრალური, მას ყოველთვის უნდა ჰქონდეს რაიმე მიმართულება, პირველ რიგში კი – საბრალდებო.[46]

საქართველოს სსსკ ითვალისწინებს მტკიცებულებების წარდგენა გამოკვლევის შემდეგ თანმიმდევრობას: პირველ ეტაპზე წარდგენილი და გამოკვლეული უნდა იქნეს პირის ბრალეულობის, ხოლო შემდეგ ეტაპზე – ის მტკიცებულებები, რომლებიც გავლენას ახდენენ განსასჯელის პიროვნების დახასიათებაზე და სასჯელის სახესა და ზომაზე. მტკიცებულებებს ჯერ ბრალდების მხარე წარადგენს და შემდეგ დაცვის. ჯერ იკვლევენ იმ მტკიცებულებებს, რომლებსაც წარმოადგენს ბრალდების მხარე, ამის შემდგომ კი ხდება დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა. წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის დროს, რომელსაც ბრალდების მხარე წარმოადგენს, დაცვის მხარეც იღებს მონაწილეობას, შემდეგ – მოსამართლენი, რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ

---

[44] გაბისონია ი., სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბ. 2002. გვ.182

[45] Уголовно-процессуальное право Российской Федерации. «Юристь», М. 2001. С. 417

[46] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.71

მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობას იღებს ბრალდების მხარეც, შემდეგ კი მოსამართლეები. მოწმეს, რომელიც გამოძახებულია რომელიმე მხარის შუამდგომლობით ჯერ კითხავს თითონ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი, შემდგომ ამმხარის სხვა წარმომადგენლები, შემდეგ დაკითხავენ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები, ბოლოს კი – მოსამართლეები. ყოველივე ამის შემდგომ მოწმის დაკითხვა ხორციელდება უშუალოდ მისი გამომძახებელი პირის მიერ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი[47] (შემდგომში – სსსკ) არ იძლევა მტკიცებულებების იერარქიას მათი უპირატესი ძალის მიხედვით. მოწმის ჩვენება მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა, თუმცა არ არსებობს სისხლის სამართლის საქმე, სადაც სახელმწიფო ბრალდებას პირის ბრალეული ქმედების დასადასტურებლად ერთ-ერთ მტკიცებულებად მოწმის ჩვენება არ ჰქონდეს მოპოვებული. მოწმის ჩვენების, როგორც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მტკიცებულების სახის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოწმისგან ინფორმაციის მიღების წესი დიდხანს იყო განსჯის საგანი როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე კანონმდებლებს შორის. საბოლოოდ, 2016 წლის 20 თებერვალს ამოქმედდა წესი, რომელიც ითვალისწინებს მოწმისმიერ სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემის ვალდებულებას, ხოლო გამოძიების ეტაპზე გამომძიებლისთვის, პროკურორისთვის გამოკითხვის ფორმატში ნებაყოფლობით ინფორმაციის მიწოდების წესს. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიზანი იყო გამორიცხულიყო საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან მოწმეზე რაიმე სახის ზეგავლენის შედეგად მოპოვებული ჩვენების გამოყენება სასამართლო განხილვის ეტაპზე, მოწმის შებოჭვა სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემის დროს გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებით და უფრო მეტიც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით დაშინება, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისთვის. თუმცა პრაქტიკაში მაინც დადგა საკითხი, შეუძლია თუ არა პროკურორს ჰქონდეს რაიმე ტიპის კომუნიკაცია პირთან, რომელიც ნებაყოფლობითაა გამოკითხული გამოძიების ეტაპზე და სასამართლოში უნდა მოხდეს მისი ბრალდების მოწმის სახით დაკითხვა, დაკითხვის განხორციელებამდე; თუ შეუძლია, რა ფორმით და რა ფარგლებში უნდა განხორციელდეს მოწმის და პროკურორის კომუნიკაცია, რომ არ გახდეს სადავო, ხომ არ განიცადა მოწმემ პროკურორისგან რაიმე ტიპის ზემოქმედება.

სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციად განსაზღვრულია შეჯიბრებითობის პროცესის ფარგლებში მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლოში, რათა გონივრულ ეჭვს

[47] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №31.

მიღმა სტანდარტით დაადასტუროს პირის ბრალეულობა. მოწმის ჩვენება წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს, რომელიც არის პირის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ. მართალია, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სანდო ან უტყუარი მტკიცებულებების იერარქიას მათი ფორმის მიხედვით, მოწმის ჩვენება მაინც რჩება ყველა სისხლის სამართლის საქმეში მოპოვებად და ამდენად, ყველაზე გავრცელებული სახის მტკიცებულებად.

სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი, რომელსაც ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი. პროკურორმა ბრალდების დასადასტურებლად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები, ამასთან აღნიშნული ვალდებულება უნდა შეასრულოს პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხითა და პასუხისმგებლობით.[48] პროკურორის მიერ მტკიცებულებების წარდგენა გულისხმობს, მათ პროცესუალურად გამართული ფორმით და ვადებში სასამართლოში წარდგენას, მათი წარდგენის რიგითობის განსაზღვრას, მათ ვიზუალურად იმ ფორმით წარმოდგენას, (განსაკუთრებით თუ საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო), რაც ხელს შეუწყობს რთული სამართლებრივი საკითხების გაგებას. სწორედ ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია ბრალდების მხარის მოწმის მიერ ჩვენების მიცემა, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულების წარდგენა. საქართველოს სსსკ არ საუბრობს არც დაცვის და არც ბრალდების მხარის მოწმესთან, სასამართლოში ჩვენების მიცემამდე კომუნიკაციის შესაძლებლობაზე და მითუმეტეს, კომუნიკაციის წესზე. აღნიშნული საკითხი სადავო გახდა 2015 წლის 16 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების ბრალდების საქმის არსებითი განხილვისას. კერძოდ, მოწმემ განაცხადა, რომ სასამართლო სხდომამდე ადრე შეხვდა ბრალდების საქმის მხარდამჭერ პროკურორებს და მათთან ერთად გაიარა „რეპეტიცია". საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, სასამართლო დაკითხვამდე მოწმესთან საქმის გარემოებების განხილვა ეწინააღმდეგება მოწმის დაკითხვის კანონით დადგენილ წესს და ამასთან დაირღვა ბრალდებულთა სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვინაიდან ისინი ამ პროცესში არ მონაწილეობდნენ.[49] აღნიშნული საკითხი სამართლებრივი მსჯელობის საგანია შეჯიბრებითი სამართლის ქვეყნებშიც. ნიუ იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს სააპელაციო

[48] საქართველოს გენერალური პროკურორის 2006 წლის 19 ივნისის ბრძანება №5 „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ", მუხლი 10, ნაწილი 1.

[49] „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2015 წელი", 648. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3512.pdf#page=16&zoom=auto,-121,792> (29.06.2020)

განყოფილებამ საქმეზე ხალხი ლივერპულის წინააღმდეგ, სადაც ადვოკატი სადავოდ ხდიდა, რომ პროკურორმა შეუსაბამო ინსტრუქტაჟი ჩაუტარა მოწმეს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენების მიცემისას „გაეწმინდა“ პოლიციელის ანგარიში პრობლემური ნაწილებისგან, სასამართლომ მსაჯულებს განუმარტა, რომ არაფერი იყო არასწორი იმაში, რომ პროკურორი ესაუბროს თავის მოწმეს სასამართლო პროცესამდე.[50] „მოწმის მომზადება პროკურორის მიერ მიიჩნევა ეთიკურ პრაქტიკად. არაპროფესიონალურად ჩაითვლება ქცევა, თუ არ მომზადდება მოწმე ჩვენების მიცემისთვის სასამართლო განხილვამდე. სისხლის სამართლის პროცესში მოწმის მომზადება არის მნიშვნელოვანი და შეუცვლელი პროცესი, რაც აძლევს საშუალებას პროკურორს, რომ მიაღწიოს საკუთარ მიზანს მართლმსაჯულების ძიების პროცესში.“[51] „პროკურორს შეუძლია მისცეს მოწმეს მაგალითები თუ რა სახის კითხვებს შეიძლება დაექვემდებაროს ჯვარედინი დაკითხვის დროს“.[52] ეს პრაქტიკა წაახალისებს მოწმეს აღიქვას მოსალოდნელი სასამართლო პროცესის მიმდინარეობა, ნებაყოფლობით გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში მოწმესთან სასამართლოში ჩვენების მიცემამდე კომუნიკაციის წესის დაურეგულირებლობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ბრალდების მხარის მოწმესთან სასამართლო განხილვამდე კომუნიკაციის დაუშვებლობას. პროკურორს უნდა ჰქონდეს ბრალდების მოწმესთან სასამართლო განხილვამდე კომუნიკაციის უფლება (ანალოგიური უფლება გააჩნია დაცვის მხარეს საკუთარ მოწმეებთან დაკავშირებით), თუ ამ კომუნიკაციის მიზანია მოწმემ სასამართლო განხილვამდე გაიხსენოს, განიახლოს მეხსიერება მის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით და მომზადებული წარდგეს სასამართლოს წინაშე. „პროკურორის ბრალდების მოწმესთან შეხვედრა მისი სასამართლო პროცესისთვის მომზადების მიზნით, არ შეიძლება გაიგივდეს მოწმის არასათანადო წვრთნასთან. უფრო მეტიც, [ანგლო-ამერიკული] პრეცედენტული სამართალი აჩვენებს, რომ მოწმის პირდაპირი ჩვენების განმეორებით მოსმენა არის დაშვებული მოწმის სასამართლო პროცესისთვის მომზადებისთვის.“[53] შეჯიბრებითი პროცესის ქვეყნებში მიჩნეულია, რომ „მოწმის სათანადო მომზადება არის მნიშვნელოვანი საშუალება იმისთვის, რომ პროკურორი და მოწმე მოემზადოს შეჯიბრებითი ტესტისთვის. მოწმესთან მჭიდრო მუშაობით პროკურორს ეძლევა შესაძლებლობა

[50] People v Liverpool, 262 AD 2D 425 (2d Dept 1999).
[51] *Brittany R.C.*, Whose Line Is It Anyway? Reducing Witness Coaching by Prosecutars, "Legislation and Public Policy", Vol. 18, 989.
[52] იქვე. გვ.990
[53] Nixon v. United States, 563, 1988, Smith V. Kelly, №7:07 cv 00536, 2008 wl 345838

1. გამოიკვლიოს სიმართლე სრულად, რიგიანად და ობიექტურად, 2. წარადგინოს სიმართლე,__ ისე როგორც გულწრფელად მან გაიგო, ზედმიწევნითი, პატიოსანი და ეფექტური ფორმით და 3. დაიცვას სიმართლე იმისგან რომ არ მოხდეს მისი დისკრედიტაცია და დამახინჯება შეჯიბრებითი შეტევისას."[54] ამდენად, პროკურორს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შეხვდეს, გაესაუბროს, მოამზადოს ბრალდების მოწმე სასამართლოში ჩვენების მიცემამდე. მოწმის მომზადება არ გულისხმობს მხოლოდ მის მიერ თავისი ჩვენების გონებაში განახლებას, არამედ მისთვის ინფორმაციის მიწოდებას სასამართლოში მოქცევის წესის, მისი ჩვენების მნიშვნელობის, სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ და ა. შ. მოწმისა და დაზარალებულის მხარდაჭერისა და ასევე მომზადების მიზანს ემსახურება საქართველოს პროკურატურის სისტემაში შექმნილი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა სასამართლოსთან ურთიერთობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მოწმისათვის სასამართლოსთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებზე და მოწმეთა უფლებამოვალეობების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება.[55]

ნათლად ჩანს, რომ მტკიცებულებათა წარმოდგენისა და გამოკვლევის ასეთი პროცედურა ყველაზე მეტად შეესაბამება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნებსა და სასამართლო გამოძიების არსს, აგრეთვე სახელმწიფო ბრალმდებლის სტატუსს, მის მოვალეობებს, ბრალდების მტკიცების არსს, მიზნებსა და საშუალებებს.

სასამართლო გამოძიებისას პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა მისი მტკიცების მოვალეობასაც გულისხმობს, მტკიცების ტვირთი სახელმწიფო ბრალმდებელს აკისრია, რაც ნიშნავს სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა მტკიცებულების შეკრებას, წარმოდგენას, შემოწმებას და შეფასებას განსასჯელის მხილების, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და სისხლის სამართალწარმოების ყველა ამოცანის გადაწყვეტის მიზნით.[56] სასამართლოში პროკურორი უშუალოდ იღებს თავის თავზე ამ მოვალეობას, რაც საკმაოდ რთულია, რადგან იგი მიმდინარეობს საქვეყნოობის, უშუალობის, შეჯიბრებითობის ატმოსფეროში და მეტი გარანტიებია განსასჯელის დაცვის უფლების რეალური უზრუნველყოფისა, ამასთან, პროკურორის თითოეული დაუფიქრებელი ნაბიჯი,

[54] *Bennett L.G.*, Witness Coaching by Prosecutors, 23 Cardozo L. Rev., 2002, 834

[55] მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ფუნქციების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს მთავარი პროკურატურის ვებ გვერდზე, <http://pog.gov.ge/geo/witness> (29.06.2020)

[56] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო". თბ. 2018 წ. გვ. 76

დაუსაბუთებელი მოქმედება მყისვე, წამიერად აღიქმება სასამართლოსა და დამსწრე აუდიტორიის მიერ, როგორც უკანონო, ან არაპროფესიონალური და ლოგიკას მოკლებული.

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოემზადა პროკურორი სასამართლო პროცესისთვის, ამისათვის მნიშვნელოვანი პირობაა საქმის მასალების წინასწარი შესწავლა სრული მოცულობით. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორაა დასაბუთებული საბრალდებო დასკვნის დებულებები შესაბამისი მტკიცებულებებით, ხომ არაა წინაარმდეგობები მათ შორის.[57]

ყველა მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ პროკურორს უფლება აქვს შეავსოს სასამართლო გამოძიება დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვითა და გამოკვლევით, დამატებითი მოწმეების დაკითხვით, რომელიმე საგამოძიებო ან სასამართლო მოქმედებათა ოქმის გამოქვეყნების შესახებ შუამდგომლობის დაყენების გზით, რაც ხელს უწყობს საქმეზე სრულ და ყოველმხრივ სასამართლო გამოძიებას და ჭეშმარიტების დადგენას. პროკურორისა და სხვა პროცესის მონაწილეთა შუამდგომლობის განხილვის შემდეგ სასამართლო გამოძიება დამთავრებულად ცხადდება და პროკურორი ემზადება მხარეთა კამათში მონაწილეობის მისაღებად.

3.2. პროკურორი სააპელაციო და საკასაციო საქმის განხილვის სტადიაზე

რუსეთის იმპერიაში 1864 წელს გატარებული სასამართლო რეფორმის შედეგად შემოღებული, განაჩენების გასაჩივრების სააპელაციო და საკასაციო წესი, რომელიც ეფექტურად მოქმედებდა საქართველოშიც, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შეცვალა ე.წ. საბჭოთა კასაციის ინსტიტუტმა, რომლის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ განაჩენთა კანონიერება–დასაბუთებულობის შემოწმება ხდებოდა მხოლოდ საქმეში არსებული წერილობითი დოკუმენტებით,[58] ახალი სასამართლო გამოძიებისა და მტკიცებულებათა კვლევის გარეშე, რაც მას შედარებით ფორმალურ ხასიათს ანიჭებდა.

სასამართლო შეცდომებისაგან დაზღვევის და უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის აღსრულების თავიდან აცილების მაქსიმალურად ეფექტური საშუალება – საქმის განხილვის სააპელაციო წესი კარგადაა აპრობილრებული საზღვარგარეთის ცივილიზებულ ქვეყნებში,

[57] იქვე. გვ. 78
[58] Угаловный процесс. Изд-во «Зеркало». М. 2000. с.416-447

სადაც საქმის ხელახალი, არსებითი განხილვითა და მტკიცებულებათა სრულყოფილი გამოკვლევით მიღწეულია მართლმსაჯულების მიზნების მაქსიმალურად შესრულება.[59]

სწორედ ამიტომ საბჭოთა კასაციის ინსტიტუტის დახვეწის და ხარვეზების აღმოფხვრას, რომელიც მემკვიდრეობით ერგო დამოუკიდებლობა აღდგენილ საქართველოს, ერთ–ერთი პირველი გამოეხმაურა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პროფ, ა. ფალიაშვილი, რომელმაც სამართლიანად დააყენა წინადადებები სააპელაციო გასაჩივრების შემოღების შესახებ, რის თაობაზეც პროგრესული მოსაზრებები გამოთქვეს სხვა ქართველმა და უცხოელმა პროცესუალისტებმაც[60] და რაც ხორცშესხმული იქნა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

საქართველოს სისხლის სამართალწარმოებაში სააპელაციო წესით გასაჩივრება განხილვის პროცედურის შემოღება ბოლო წლებში განხორციელებული სასამართლო რეფორმის ერთ–ერთ უმთავრეს თვისობრივ სიახლეს წარმოადგენს. სააპელაციო წესით საჩივრდება რაიონული და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეთა მიერ ერთპიროვნულად გამოტანილი განაჩენები (და სხვა გადაწყვეტილებები) თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების ან შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატებში. სააპელაციო გასაჩივრების შემთხვევები შემოფარგლულია მხოლოდ რაიონული (საქალაქო) რგოლის სასამართლოს გადაწყვეტილებებით. ყველა სხვა ზემდგომი რგოლის სასამართლოს, ასევე სააპელაციო პალატების გადაწყვეტილებები საჩივრდება მხოლოდ საკასაციო წესით.[61]

სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტები (სსსკ 292–309ე მუხლები) არიან მხარეები, მათ შორის სახელმწიფო ბრალმდებელი და მისი ზემდგომი პროკურირი. სააპელაციო წესით საჩივრდება კანონიერ ძალაში შეუსვლელი განაჩენების და სხვა გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობაც ანუ მტკიცებულებითი მხარე და კანონიერებაც ანუ, სამართლებრივი მხარეც. საკასაციო გასაჩივრების სუბიექტთა (კასატორთა) წრე იგივეა, რაც სააპელაციო გასაჩივრებისას; საკასაციო წესით საჩივრდება ავტონომიური რესპუბლიკების და საოლქო სასამართლოების სისხლის სამართლის სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა პალატების, კანონიერ ძალაში შეუსვლელი განაჩენების და სხვა გადაწყვეტილებების

[59] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.118

[60] ფალიაშვილი ა., სასამართლო რეფორმისა და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები. ჟურ. „სამართალი“. #5-6. 1993. გვ. 43

[61] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.120

კანონიერება, ე.ი. სამართლებრივი პროცედურის არსებითი დარღვევები, ქმედების არასწორი კვალიფიკაცია ანდა სასჯელის შეუსაბამობა მსჯავრდებულის პიროვნებასა და ქმედების სიმძიმესთან.

სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების ერთ–ერთი სუბიექტის – პროკურორის სტატუსსა და უფლებამოსილების ირგვლივ ჯერ კიდევ ათეული წლების წინ არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ მეცნიერები პროკურორის საპროცესო მდგომარეობის საკითხს განიხილავდნენ საბჭოური კასაციის მოდელის პირობებში, ვინაიდან სოციალისტური პერიოდის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აპელაციის ინსტიტუტს არ იცნობდა.

მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლიდა, რომ პროკურორი საკასაციო ინსტანციაში წარმოადგენდა მხარეს. ეს მოსაზრება ეყრდნობა კონცეფციას, რომ მანამდე სანამ პირის დამნაშავეობის საკითხი საბოლოოდ არ გადაწყდება, ე.ი. განაჩენი არ შევაკანონიერ ძალაში, პროკურორი სასამართლოში ახორციელებს ბრალდების ფუნქციას და იგი ითვლება სახელმწიფო ბრალმდებლად.[62] მეორე ჯგუფი მიიჩნევდა, რომ პროკურორი სახელმწიფო ბრალმდებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მხარს უჭერს თავის პროტესტს, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ზედამხედველი ორგანოს წარმომადგენელი; მესამე ჯგუფის აზრით პროკურორი კასაციის დროს აღარაა სახელმწიფო ბრალმდებელი, რადგან იძლევა მხოლოდ დასკვნას, რასაც ბრალდების მხარდასაჭერასთან საერთო არაფერი აქვს, თუნდაც საქმე იხილებოდეს მისი პროტესტით; იგი არ – წარმოადგენს მხარეს, არ სდებს ბრალს, მხოლოდ აზრს გამოთქვამს, როგორც კანონიერებაზე ზედამხედველი.[63]

პაატა კობალაძეს მოყავს ბ. მეურმიშვილის ნაშრომიდან წინადადება, რომ თანამედროვე, უკანასკნელი პერიოდის ზოგ გამოკვლევაშიც რატომღაც მიჩნეულია, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში პროკურორი აღარაა სახელმწიფო ბრალმდებელი, რადგან მის ამოცანას შეადგენს ობიექტური დასკვნის მიცემა განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის საკითხებზე და არა ბრალდების მხარდაჭერა.[64] და იგი მას კატეგორიულად არ ეთანხმება, რაც სავსებით მისაღებია. ვინაიდან ჯერ ერთი, ობიექტური დასკვნის მიცემას განაჩენის კანონიერებაზე (დასაბუთებულობა საკასაციო ინსტანციაში საერთოდ არ მოწმდება), როგორც

---

[62] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.121

[63] ფალიაშვილი ა., საპროკურორო ზედამხედველობა სსრ კავშირში. გამომცემლობა თსუ. თბ. 1970. გვ. 197

[64] მეურმიშვილი ბ., პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი. ჟურ. „სამართალი“. #8. 2001. გვ. 63

პროკურატურის ფუნქციას საქართველოს პროკურატურის შესახებ ორგანული კანონი არ ითვალისწინებს, ხოლო ამავე კანონის მეორე მუხლის შესაბამისად იკრძალება იმ მოვალეობების დაკისრება პროკურატურისთვის, რომელიც საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით არ არის გათვალისწინებული. ამდენად პროკურატურის ფუნქციათა ხელაღებით გაფართოება მიზანშეუწონელიცაა და დაუშვებელიცლ; მეორე, –თვით კანონმდებელი ამ სტადიაზე არ იცნობს დასკვნის მიცემას ასეთი ტერმინოლოგიით; მესამე – აზრის გამოთქმა პროცესის სხვა მხარეთა საჩივრების ირგვლივ პროკურორის ფუნქციის სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, შემადგენლობაშია მოაზრებული იმავე ორგანული კანონის მე–19 მუხლით; მეოთხეც– პროკურორის უფლებამოსილებანი ამ მიმართებით (აზრის გამოთქმა, საკუთარი საჩივრის მხარდაჭერა) სწორედ სახელმწიფო ბრალდების ფუნქციის განხორციელებაა, ამ ფუნქციის შესაბამისად კი პრიოკურორი იცავს გამამტყუნებელ განაჩენს (მის კანონიერებას), ან მხარს უჭერს თავის საჩივარს გამამართლებელი განაჩენის უკანონობაზე ანდა გამამტყუნებელი განაჩენის ლმობიერებაზე. ის გარემოება, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში პროკურორს შეუძლია სზრის გამოთქმა მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ, (როცა პროკურორი ეთანხმება გამამართლებელ განაჩენს), ასეთი ცალკეული შემთხვევები ცვლის პროკურორის ზოგად საპროცესო მდგომარეობას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა პროკურორი იძულებულია (ვალდებულია) უარი თქვას ბრალდებაზე (მთლიანად და არა ნაწილობრივ), ე.ი. დაეთანხმოს დაცვის მხარის პოზიციას, ცხადია, ბრალდების ფუნქცია წყდება, ხდება მისი ლიკვიდაცია, ვინაიდან იგი ვეღარ იცავს გამამტყუნებელ განაჩენს.[65] მაგრამ ასეთი შემთხვევები ერთეულია, გამონაკლისისა და პროკურორის საქმიანობის ძირითად მიმართულებად ვერ ჩაითვლება. ასეთად (ძირითად მიმართულებად) მოიაზრება მხოლოდ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა. რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის ნაწილობრივ გაზიარებას (ე.ი. ნაწილობრივ უარის თქმას ბრალდებაზე) აქ რჩება ბრალდება (სხვა უფრო მსუბუქი კვალიფიკაციით, ანდა სხვა ეპიზოდში), რომელიც პროკურორმა უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრებების გამოთქმის გზით, ამდენად იგი აგრძელებს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას. გარდა ამისა, საპროცესო კანონმდებლობაც ყურადღებას ამახვილებს ტერმინზე მხარეები, ხოლო ვინაიდან პროკურორი მხარეა, იგი სახელმწიფო ბრალმდებელიცაა, რადგან მასში გათავისებულია როგორც შეჯიბრებითობის პრინციპი, ისე მხარის საპროცესო ინტერესიც.

[65] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.122-123

პროკურორის უფლებამოსილება – გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენები სააპელაციო და საკასაციო წესით – პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე–2 მუხლის ჩამონათვალში ცალკე ფუნქციად არ არის გამოყოფილი; აქიგი შერწყმულია სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერასთან, ნაგულისხმებია მასში; ამავე უფლებამოსილების, როგორც სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ფუნქციის შემადგენელი ნაწილის, განხორციელების თაობაზე მითითებულია ორგანული კანონის მე–19 მუხლში, რომლის სათაურის ქვეშ კანონმდებელი მოიაზრებს პროკურორის, როგორც მხარის ვალდებულებას – მონაწილეობა მიიღოს სააპელაციო წარმოების სტადიაზე და უზრუნველყოს ბრალდების მტკიცება, ხოლო საკასაციო წარმოების სტადიაზე იგი როგორც მხარე მხარს უჭერს თავის საჩივარს ან გამოთქვამს აზრს სამართლაწარმოების სხვა მონაწილეთა საჩივრების ირგვლის.[66] ამავე ორგანული კანონის 28–ე მუხლიც შინაარსობლივად იგივე კუთხით წარმოაჩენს პროკურორის უფლებამოსილებას – გაასაჩივროს სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შეუსვლელი აქტი ზემდგომ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში და მონაწილეობა მიიღოს მის განხილვაში, როგორც მხარემ, მსგავს ფორმულირებას შეიცავს საპროცესო კოდექსის 57–ე მუხლიც.[67]

ამრიგად, საქართველის კანონმდებლობით პროკურორის უფლებამოსილება სააპელაციო და საკასაციო წესით განაჩენთა გასაჩივებისა და ამ ინსტანციებში მონაწილეობა არის არა დამოუკიდებელი, არამედ სახელმწიფო ბრალდების მხარდაწერის, როგორც პროკურატურის საქმიანობის ერთ–ერთი ძირითადი მიმართულების (დამოუკიდებელი ფუნქციის) შემადგენელი ნაწილი, ბრალდების განხორციელების ფორმა, ნაირსახეობა. ამდენად ამ ინსტანციებშიც პროკურორი არის მხარე, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ბრალდებას, ე.ი. სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი.[68] ასე რომ აე იყოს, პროკურორი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში უფუნქციოდ დარჩებოდა, ვინაიდან სასამართლოზე (და მისი აქტივების კანონიერებაზე) ზედამხედველობა ბუნებრივია აღარ არსებობს, ხოლო განაჩენთა (და სხვა შემაჯამებელ გადაწყვეტილებათა) გასაჩივრებას არც პროკურატურის შესახებ ორგანული კანონი და არც საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს, როგორც პროკურატურის დამოუკიდებელ ფუნქციას.

---

[66] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.123

[67] იქვე. გვ.123

[68] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.124

საკითხი პროკურორის მიერ საკასაციო ინსტანციაში ბრალდების ორდინალური ფუნქციის განხორციელების შესახებ ადეკვატურადაა მოწესრიგებული არა მარტო საკანონმდებლო, არამედ უწყებრივი ნორმატიული აქტებით, – მაგალითად: საქართველოს გენერალური პროკურატურის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების სამმართველოს ერთ–ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი – სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების განყოფილება უზრუნველყოფს პროკურორების მონაწილეობას სააპელაციო სასამართლოებში და მათ მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებას.

საქართველოს სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსით მოცემული ტერმინის „სახელმწიფო ბრალმდებელი“ განმარტებულია შემდეგნაირად – „იგი არის პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოში.“[69]

ზემოთთქმულიდან გამომდინარე პ. კობალაძე მიიჩნევს, რომ პროკურორის პროცესუალური მდგომარეობა (როგორც შინაარსობრივად, ისევე ლოგიკურად და ტერმინოლოგიურად) შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს სააპელაციო და საკასაციო სამართლწარმოების სტადიაზე: პროკურორი წარმოადგენს მხარეს და ახორციელებს სახელმწიფო ბრალდებას.რაც შეეხება მის საპროცესო აქტებს (სააპელაციო და საკასაციო საჩივრები) და სხვა საპროცესო მოქმედებებსა და უფლებამოსილებას (ამ აქტების შედგენა, შეტანა, უკან გამოთხოვა, თავისი საჩივრის მხარდაჭერა სასამართლო გამოძიებაში მონაწილეობა, აზრის გამოთქმა სხვა საჩივრების ირგვლის და ა.შ.) ისინი სახელმწიფო ბრალდების განხორციელების საშუალებებს წარმოადგენენ და საბოლოოდ, სახელმწიფო ბრალდების განხორციელების ფუნქციაში მოიაზრებიან.[70]

რაც შეეხება პროკურორის საჩივრის ფორმას, სოციალისტური პერიოდის საპროცესო კანონმდებლობა მას არ ითვალისწინებდა. რუსეთისა (სსსკ 363, 375 მუხლები) და ბელორუსიის (სსსკ 405–ე მმუხლი) ახალმა სისიხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ უკვე დაადგინა სააპელაციო და საკასაციო საჩივრის ფორმა და შინაარსი,[71] განსხვავებით უკრაინის საპროცესო კოდექსისაგან, რომელიც ამ საკითხს დღემდე არ აწესრიგებს. სამაგიეროდ

[69] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.125

[70] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.125

[71] Угаловно-процессуальный кодекс Российской Федерации. Изд-во «ИКФ ЭКМОС». М. 2002. с. 491-492

გერმანული და ფრანგული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ეს საკითხი დეტალურადაა მოწესრიგებული.[72]

თეორიაში მიჩნეულია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს განსაზღვრულ რეკვიზიტებს და შედგებოდეს სამი ნაწილისაგან:

1) შესავალი;

2) აღწერილობითი (სამოტივაციო);

3) დასკვნითი (სარეზოლუციო).

პრკურორის სააპელაციო და საკასაციო საჩივარი მნიშვნელოვანი საპროცესო დოკუმენტია, რომლის მეშვეობით იგი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიმართავს დასაბუთებული თხოვნით კანონიერ ძალაში შეუსვლელი განაჩენის დასაბუთებულობის ანდა კანონიერების შემოწმების შესახებ, იმ მოსაზრებების მითითებით, რომლებიც ასაბუთებენ ადასტურებენ პროკურორის პოზიციას, რაც აადვილებს განაჩენის კანონიერება–დასაბუთებულობის შემოწმებას, დარღვევათა აღმოფხვრას, საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას და უზრუნველყოფს ჭეშმარიტების დადგენას.[73] ამდენად, ასეთი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტის გარეგნული და შინაარსობრივი მხარის დაზუსტება–დაკონკრეტება სწორედ საკანონმდებლო მოწესრიგების საგანი უნდა იყოს. ამიტომ პროგრესულად მიმაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა (529–ე, 552–ე, მუხლები) აღნიშნავს კობალაძე.

პროკურორი, რომელიც მონაწილეობს სააპელაციო ინსტანციაში განაჩენის გადასინჯვისას, სარგებლობს მხარის პროცესუალური სტატუსით, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სასამართლო გამოძიებაში და თავის მოღვაწეობას ამთავრებს საბრალდებო სიტყვით, ამდენად, მისი უფლებამოსილებები და საქმიანობის ფორმები, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლისა იგივეა, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში.

კასაციის დროს ეს ფორმები რამდენადმე განსხვავებულია, კერძოდ : მოსამართლის მოხსენების, მისთვის შეკიხვების დასმის, კასატორის მიერ საჩივრის მოტივების დასაბუთებისა და მისთვის შეკითხვების დასმის შემდეგ პროკურორი, როგორც მხარე, აყალიბებს თავის მოსაზრებას საჩივრისა დაგანაჩენის შესახებ, რაც საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების წარმატებით განხორციელების ერთ–ერთი არსებითი, მნიშვნელოვანი

[72] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.126

[73] იქვე; გვ.126

გარანტიაა. ამ მოსაზრებების ჩამოყალიბებისას პროკურორი აბსოლუტურად დამოუკიდებელია, ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონის მოსაზრებებით და შინაგანი რწმენით, ამასთან, დიდია მისი პასუხისმგებლობაც – მისი საქმისადმი არასწორი, დაუდევარი მიდგომა, შეცდომებს დაშვება მიუტევებელია და ვეღარ გამოსწორდება, რადგან საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა. პროკურორი მოსაზრებებს აყალიბებს ზეპირსიტყვიერად, რა დროსაც იგი შებოჭილი არ არის საჩივრის მოთხოვნით, მაგრამ ვალდებულია გაითვალისწინოს საუარესოდ შებრუნების დებულების მოთხოვნები. პროკურორი სასამართლოსა და მხარეთა წინაშე ასაბუთებს თავის საკასაციო საჩივარს, მის ძირითად დებულებებს, დამატებითი საჩივარსა და შესაგებელს, აზრს გამოთქვამს მოწინააღმდეგე მხარის საჩივრების ირგვლივ, არგუმენტირებას უკეთებს თავის პოზიციას, ასაბუთებს საწინააღმდეგო მოსაზრებათა უსაფუძვლობას, დამატებითი მასალების წარდგენის აუცილებლობას და ა. შ.[74]

სააპელაციო და საკასაციო საჩივრების შეტანს უფლება გააჩნიათ არა მარტო სახელმწიფო ბრალმდებლებს, არამედ ზემდგომ პროკურორებსაც. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი–შეუძლია თუ არა სახელმწიფო მბრალმდებელს, მხარი არ დაუჭიროს ზემდგომი პროკურორის მიერ შეტანილ საჩივარს ან შეცვალოს მისი მოთხოვნა, თუკუ ასეთი საჩივრის შეტანის შემდგომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მას დაევალა მონაწილეობის მიღება. პრაქტიკულეად მიღებულია, რომ ქვემდგომი პროკურორი ასეთ შემთხვევებში საქმის კურსში აყენებს ზემდგომს და უთანხმებს თავის პოზიციას, რასაც სრულიად სამართლიანად აკრიტიკებენ ა. ფალიაშვილი და ზოგი სხვა პროცესუალისტი, რა პოზიციასაც სავსებით იზიარებს პ. კობალაძეც, რადგან ქვემდგომი პროკურორის ზემდგომისადმი დაქვემდებარება არ ნიშნავს ბრმად დამორჩილებას და ზემდგომი ხელმძღვანელის პოზიციის უკრიტიკოდ გაზიარებას. აქ მნიშვნელობა ენიჭება არა ცენტრალიზაციასა და სამსახურებრივ დაქვემდებარებას, არამედ პროცესუალურ დამოუკიდებლობას, რაც ყველაზე ეფექტურად პროცესის სასამართლო სტადიებზე ვლინდება. ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება პროკურორის შინაგან რწმენას, რომელიც მას გამოუმუშავდება საქმის სრულყოფილი, ობიექტური განხილვისას, რა დროსაც მას უფლება აქვს დააფიქსიროს საკუთარი, ობიექტური პოზიცია, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე.[75]

---

[74] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.128

[75] იქვე; გვ.128

თავი IV. პროკურორის შესავალი და დასკვნითი სიტყვა და უარი ბრალდებაზე

4.1.პროკურორის შესავალი და დასკვნითი სიტყვა

მტკიცებულებათა გამოკვლევის შრომატევადი და რთული პროცესი ლოგიკურ დასასრულს სასამართლო (მხარეთა) კამათში პოულობს. იგი საქმის სასამართლოში განხილვის ის ეტაპია, რომელიც მოწინააღმდეგე მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, გამოთქვან სასამართლოს წინაშე თავიანთი შემაჯამებელი აზრი სისხლის სამართლის საქმეზე წამოჭრილ ყველა საკითხზე.

სასამართლო კამათის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს, მის პირველ ეტაპს პროკურორის შესავალი და დასკვნითი სიტყვა წარმოადგენს, რომელსაც ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნია.[76] შესავალი და დასკვნითი სიტყვა პროკურორის მიერ სასამართლო გამოძიების შედეგების საფუძველძე გაკეთებული დასკვენების ერთობლიობაა, რომელიც ბრალდების მტკიცებას, დანაშაულის კვალიფიკაციას, სასჯელის სახეს, ზომას დ სხვა საკითხებს ეხაბა. პროკურორი სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლოს წინაშე ასაბუთებს განსასჯელის ბრალეულობას, რითაც შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვით, სხვა მხარეების თანასწორად, გამოხატავს საკუთარ პროცესუალურ ინტერესს, მის ხასიათსა და მომართულებას.

ის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები, რომლებიც მხარეთა კამათის წესს არეგულირებენ, არ მიუთითებენ პროკურორის მიერ შესავალი და დასკვნითი სიტყვის წარმოთქმის სავალდებულობაზე. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე ემუხლის მე-3 ნაწილში მითითებული კამათის მონაწილეთა უფლებაზე(მათ შორის-სახელმწიფო ბრალმდებლის)-გამოთქვან აზრი განსასჯელის ბრალეულობის, სასჯელის შესახებ სა ა.შ. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ პროკურორი სწორედაც ვალდებულია, წარმოთქვას შესავალი და დასკვნითი სიტყვა.ასეთი მოსაზრება გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის 57-ე და 297-ე მუხლების მოთხოვნიდან, რომელთა მიხედვით პროკურორი პირველი ინსტანციის სამართლოში გამოდის როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი და მას ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა. იგი საბრალდებო თეზისის დასაბუთებას ნიშნავს, რაც

[76] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ. 80

უზრუნველყოფილია უმთავრესად შესავალი და დასკვნითი სიტყვის საშუალებით. შესავალი და დასკვნითი სიტყვის წარმოთქმის სავალდებულობაზე საუბრობს უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა(318-ე მუხლი),[77] ბელორუსიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 346-ე მუხლი),[78] რუსეთის ფედერაციის ახალი საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლი (ჩვეულებრვი წესით განსახილველ საქმეებზე) და 336 მუხლი (ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსახილველ საქმეებზე),[79] გერმანიის საპროცესო კოდექსის 258-ე პარაგრაფი[80] და სხვა. ამასთან, ყველა ჩამოთვლილი ქვეყნის კანონმდებლობა კამათში პირველად გამოსვლის მოვალეობას პროკურორს ანიჭებს, განსხავებით, მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცედურისაგან, რომლის მიხედვით სასამართლო კამათს იწყებენ დაზარალებული (სამოქალაქო მოსარჩელე) და მისი ადვოკატი, ხოლო შემდგომ ისმენენ პროკურორის საბრალდებო სიტყვას.[81] აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არცერთი ზომოაღნიშნული კანონმდებლობა არ ადგენს შესავალი და დასკვნითი სიტყვის სტუქტურას (შინაარს), ეს უკანასკნელი გამომუშავებულია პრაქტიკით და თეორიულ მეცნიერებაში გამოთქმული (პრაქტიკაში აპრობირებული) მოსაზრებებით.

შესავალი და დასკვნითი სიტყვა შედგება რვა ელემენტისაგან: 1)დანაშაულის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფასება; 2) დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების აღწერა; 3)ცალკეულ მტიცებულებათა ანალიზი და შეფაება; 4)განსასჯელის პირობების დახასიათება; 5)დანაშაულის იურიდიული ანალიზი; 6) დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა და მიზეზთა ანალიზი; 7) მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხი და 8) მოსაზრება სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.[82]

ზემოთქულიდან გამომდინარე, შესავალი და დასკვნითი სიტყვის სტუქტურა შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:[83] 1) შესავალი (დანააულის საზოგადოებრივ-პოლიტიკრი შეფაება); 2) საქმის შანაარსი (დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების აღწერა); 3) მტკიცებულებათა შემოწმება (ანალიზი) და შეფასება; 4) ქმედების კვალიფიკაცია (იურიდიული ანალიზი); 5) განსასჯელის პიროვნების დახასიათება; 6) მოსაზრება სასჯელის სახისა და ზომის

[77] Тертышник В.М., Научно-практический комментарий к уголовно-процессуальному кодексу Украины. Изд-во «А.С.К.». Киев. 2001. с. 600-605
[78] УПК Республики Беларусь. «Юридический центр Пресс». С-Пб., 2001. с. 466-467
[79] УПК Рассийской Федерации. «Уралюриздат». Екатеринбург. 2002. с. 125-144
[80] УПК ФГР. Изд-во «Манускрипт». М. 1994. с. 120
[81] Боботов С.В., Правосудие во Франции (Учебное пособие). Изд-во «ЕАВ». М. 1994. с. 136
[82] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.82
[83] იქვე. გვ. 86

შესახებ; 7) აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლის ან გაუქმების საკითხი; 8) მოსაზრება ნივთიერი მტკიცებულებების ბედზე; 9) სამოქალაქო სარჩელის საკითხი; 10) მოსაზრება სასამართლო ხარჯების ანაზღაურების შესახებ; 11) დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ანალიზი; 12) მოსაზრებები იძულებითი მკურნლობის შესახებ.

მოცემული სტრუქტურა, ჩვენი აზრით, სრულყოფილად ასახავს საქმის ყველა მნიშვნელოვან გარემოებას და ნათელ წარმოდგენას იძლევა პროკურორის მიერ შერჩეულ პოზიციაზე.

საქმის შინაარსის გადმოცემისას პროკურორმა უნდა ახსნას საქმის არსი, აღადგინოს მომხდარი დანაშაული,- სად, როდის, რა ხერხით, მიზნით, მოტივით იქნა იგი ჩადენილი, როგორია მისი შედეგი და ა.შ. სადოვსკი თვლის, რომ ამისათვის მისი ცალკე ნაწილებად გამოყოფა არ არის საჭირო.[84]

ჩვენი აზრით საქმის შინაარსის გადმოცემა სავალდებულოა ყველა სისხლის სამართლის საქმეზე და იგი შესავალი და დასკვნითი სიტყვის დამოუკიდებლ ნაწილად უნდა გამოიყოს, ვინაიდან იგი ზოგად წამოდგენას იძლევა მსმენელისათვის ბრალდების ფაქტიურ მხარეზე და საერთო კონცეფციაზე, და მეორეც - ზოგჯერ სასამართლო გამოძიების დაწყებიდან მხარეთა კამათამდე დიდი დროის გასვლის გამო აუცილებელი ხდება პროცესზე დამსწრეთა მეხსიერებაში დანაშულის ფაქტიური მხარის აღდგენა.

მტკიცებულებათა ანალიზი და შეფასება, როგორც ლოგიკური ფორმებით განხორციელებული გონებრივი საქმიანობა, შესავალი და დასკვნითი სიტყვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ვინაიდან სწორედ მტკიცებულებები წარმოადგენენ წარსულში მომხდარი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის წყაროს. ამნაწილში სახელმწიფო ბრალმდებელი ვალდებულია განსაზღვროს იმ მტკიცებულებათა წრე, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებას, ხოლო გამორიცხოს ბრალდების გამამართლებელი მტკიცებულებები, თუმცა ამ უკანასკნელთა შეფაებას გვერდს ვერ აუვლის, ვინაიდან მათი დუმილით, შეფასების გარეშე გვერდის ავლა არამარტო ასუსტებს შესავალი და დასკვნითი სიტყვის დამაჯერებლობას,არამედ ამასთან ეწინააღმდეგება ბრალდების მიზანს-საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

დასკვნით სიტყვაში მტკიცება წარმოებს საბრალდებო თეზისის წარმოდგნასა და მისი სათანადო არგუმენტებით გამყარების გზით; ვერსიების შემოწმება ხდება მათი ფაქტიური ბაზისის წარმოჩენის საშუალებით, ე.ი. ეფუძნებიან თუ არა ისინი სათაბადო მტკიცებულებებს.

---

[84] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.88

მტკიცებულებათა შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ბრალმდებლის შინაგან რწმენას, რა დროსაც მან უნდა განაგდოს ყველა ეჭვი, ვარაუდი და სამის გარემოებების შეფასება მოახდინოს მხოლოდ სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეული და მხოლოდ დასაშვები, უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე, მტკიცედ, მყარად ჩამოყალიბებული შინაგანი რწმენით.[85]

ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრა(იურიდიული შეფასება) დასკვნის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია, რომელშიც სახელმწიფო ბრალმდებელი უმტკიცებს სასამართლოს, რომ განსასჯელის მიერ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმეგო და ბრალეული ქმედება და რომ იგი მოიცავს კონკრეტული დანაშაულის ყველა ელემენტს. კვალიფიკაცია უნდა იყოს ზუსტად ჩამოყალიბებული, დადასტურებული, პროკურორი არ უნდა ემოიფარგლოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის მითითებით, მან უნდა გადმოსცეს სისხლის სამართლის ნორმის ღრმა ანალიზი, მიმოიხილოს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი, ამასთან იგი უნდა იყოს გასაგები და ადვილად გასააზრებელი არა მარტო სასამართლოს, არამედ აუდიტორიისათვისაც, ნათელი და ლაკონური, არ უნდა გადაიტვირთოს ძნელად გასაგები ტერმინოლოგიით.

განსასჯელის პიროვნების დახასიათება შესავალი და დასკვნითი სიტყვის მეტად საპასუხისმგბლო ეტაპი და, შესაბამისად სავალდებულო ელემენტია იმდენად, რამდენადაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლი სასამართლო გამოძიების სავალდებულო, მეორე ეტაპი მოიცავს იმ მტკიცებულებათა გამოკვლევას, რომლებიც ახასიათებენ განსასჯელის პიროვნებას და გავლენას ახდენენ სასჯელის სახესა და ზომაზე, შესაბამისად კი, მტკიცებულებათა მიერ ამ უკვე გამოკვლეულ მტკიცებულებათა შეფასება საბოლოოდ ხდება მხარეთა კამათში. მათი შეფასების გარეშე განაჩენის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან ისინი აუცილებელია სასჯელის დანიშვნისათვის.

პროკურორის ვალდებულებათა სასჯელის სახისა და ზომის შესახებ მოსაზრების გამოთქმის თაობაზე გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან. დასკვნით სიტყვის ამ ნაწილში უნდა გაირკვეს ბრალდებულის მიმართება ჩანადენთან (მაგალითად, აღიარება და მონანიება), მისი როლი დანაშაულის ჩადენაში, სხვა დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, რათა მაქსიმალურად ეფექტურად იქნას

[85] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.89

მიღწეული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოყალიბებული სასჯელის მიზნები-სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია, რისთვისაც უნდა შეირჩეს სასჯელის სათანადო სახე და ზომა, გათვალისწინებული იქნეს დანაშაული, მოტივი და მიზანი, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაქინააღმდეგო შედეგი, განსასჯელის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ, მისწრაფება ზიანის ასანაზღაურებლად ან დაზარალებულთან შესარიგებლად და ა. შ.[86]

მეცნიერ-პროცესუალისტთა შორის დღემდე დავის საგანია, უნდა მოითხოვოს თუ არა პროკურორმა დასკვნით სიტყვაში სასჯელის კონკრეტული ზომა, თუ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ სასჯელის სახის მოთხოვნით.

ავტორთა უმრავლესობა თვლის, რომ დასკვნით სიტყვაში პროკურორმა უნდა გამოთქვას მოსაზრებები არა მარტო სასჯელის სახის, არამედ ზუსტი ზომის შესახებაც.

დასკვნით სიტყვაში სავალდებულოა როგორც სასჯელის სახის, ისე მისი ზომის მოთხოვნაც, შემდეგი გარემოებების გამო: ჯერ ერთი, სასჯელის ზომის მოთხოვნისაგან თავის შეკავება და დუმილით ავლა დაუმთავრებელი დასკვნითი სიტყვის შთაბეჭდილებას ტოვებს; მეორეც, პროკურორი სასამართლოში წარმოადგენს მტკიცებულებებს, მონაწილეობას ღებულობს მათ გამოკვლევაში, აყენებს შუამდგომლობებს, აფასებს მტკიცებულებებს, სასამართლოს აცნობს თავის პოზიციასბრალდების დამტკიცების, ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის და სხვა საკითხების ირგვლივ, ხოლო ყველაფერი ამის ლოგიკური დასასრული სწორედ სასჯელის სახისა და ზომის მოთხოვნაა, რის გარეშეც მრალდების საბოლოო მიზანი - პირის მიმართ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების უზრუნველყოფა - შეუსრულებელი დარჩებოდა. ამასთან სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ სასჯელის ზუსტი ზომის მოთხოვნა - ესაა განსასჯელის ქმედების სახელმწიფოებრივი შეფასება და მას პროკურორი გვერდს ვერ აუვლის.

სასჯელის სახისა და ზომის შესახებ პოზიციის დაფიქსირების შემდგომ სახელმწიფო ბრალმდებელმა მსჯელობა უნდა იქონიოს საკითხზე – განაჩენსი გამოტანის შემდეგ სასამართლომ ძალაში დატოვოს, შეცვალოს თუ გააუქმოს ის აღკვეთი ღონისძიება, რომელიც თავის დროზე შერჩეული ჰქონდა ბრალმდებულს.

---

[86] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.91

ნივთიერი მტკიცებულებების საკითხის გადაწყვეტას პროკურორის დასკვნით სიტყვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მან სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე უნდა გააცნოს თავისი მოსაზრებები ნივთმტკიცებების ბედის შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდქსის 124-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.[87]

სამოქალაქო სარჩელის საკითხის გადაწყვეტა ბევრადაა დამოკიდებული პროკურორის აქტიურობაზე სასამართლო გამოძიებისას და ამ საკითხისადმი მნიშვნელოვანი ყურადღების დათმობაზე შესავალი და დასკვნითი სიტყვაში. საქმის განხილვისას სახელმწიფო ბრალმდებელი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის მხარდაჭერით, მან უნდა დაადგინოს მიყენებული ზიანის სახე და ოდენოდა, ამასთან დაასაბუთოს იგი, მოითხოვოს მისი ანაზღაურება და შეძლებისდაგვარად მიუთითოს იმ წყაროებზე, საიდანაც შესაძლებელი იქნება ზიანის ანაზღაურება.

მოსაზრება სასამართლო ხარჯების ანაზღაურების შესახებ შესავალი და დასკვნითი სიტყვის აუცილებელი ელემენტია. ბრალდებლის მიერ ამ საკითხის წარმოჩენა შესავალი და დასკვნითი სიტყვაში აუცილებელია, რადგან იგი განაჩენით გადასწყვეტი ერთ-ერთი ძირითადი საკითხია და მის შესახებ პროკურორის პოზიციის დაფიქსირება ხელს უწყობს სასამართლოს სამართლიანი და დასაბუთებული აზრის ჩამოყალიბებაში ამ მიმართებით.

სახელმწიფო ბრალმდებელმა მხარეთა კამათის დროს ანალიზის და შეფასება უნდა გაუკეთოს მოცემული კონკრეტული დანაშაულის ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს. იგი შესავალი და დასკვნითი სიტყვის სავალდებულო ელემენს წარმოადგენს, ვინაიდან ამ პირობების დადგენას, დანაშაულის საფუძვლის ახსნას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.[88] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ, განაჩენის დადგენისთანევე, სათანადო საფუძვლების არსებობისას უნდა გამოიტანოს კერძო განჩინება, რომლის საშუალებითაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების, პოლიტიკური გაერთიანებების ყურადღება უნდა მიექცეს საქმეზე დადგენილი კანონის დარღვევის ფაქტზე, დანაშაული ჩადენის მიზეზსა და ხელშემწყობ პირობების არსებობაზე, რომლებსაც ესაჭიროვება სათანადო ზომის მიღება. კერძო განჩინება სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს, აგრეთვე, თუ დაირღვა მოქალაქეთა უფლებები ან გამოვლინდა კანონის სხვა დარღვევა, რომელიც წინასწარი

[87] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.93
[88] იქვე; გვ.94

გამოძიების გამოკვლევისას იქნა დაშვებული. ყველაფერი ეს კი ემსახურება დანაშაულის პროფილაქტიკის, მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან აცილების საქმეს. სწორედ ამიტომ, პირველ რიგში პროკურორია ვალდებული, სასამართლოს ყურადღება მიაქციოს ზემოაღნიშნულ ფაქტებზე. ამასთან პროკურორი არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით, არამედ მისი საბრალდებო სიტყვა ამ მიმართულებით უნდა შეიცავდეს კონკრეტულ რეკომენდაციებსაც.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სასამართლო კამათის ყველა მონაწილის სიყვით გამოსვლის შემდეგ, მათ მიერ იგივე თანმიმდებვრობით, კიდევ ერთხელ, მოკლედ, საწინააღმდეგო აზრის ან შენიშვნის გამოთქმის უფლებას გამოსვლაში ნათქვამის თაობაზე, ანუ რეპლიკის უფლებას. სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წარმოთქმული რეპლიკა-ესაა მისი საპასუხო გამოსვლა დაცვის მხარის წარმომადგენლის მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე. იგი არაა აუცილებელი, მაგრამ მნიშვნელოვანი ელემენტია პროკურორის გამოსვლისა. პროკურორმა რეპლიკას უნდა მიმართოს არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა დაცვის მხარე გამოთქვამს მცდარ აზრებს ან აშკარად ამახინჯებს ფაქტებს, არასწორად განმარტავს კანონს, დამახინჯებულია სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია, ანდა როცა თვით პროკურორი თვლის, რომ საბრალდებო სიტყვის წარმოთქმისას გამორჩა მნიშვნელოვანი გარემოება ან არასაკმარისად გააშუქა რაიმე საკითხი. რეპლიკა უნდა იყოს მოკლე, ლაკონური, შემჭიდროებული, მკაფიო, ზუსტი და იგი არ უნდა გადაიქცეს მეორე საბრალდებო სიტყვად, რაც ძირითადი სიტყვის სისუსტეზე მიუთითებს.

რეპლიკა თითქმის ყოველთვის შეიცავს პოლემიკის ელემენტებს, მაგრამ არსებობს გამონაკლისიც - როცა პროკურორი დაცვის მხარის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს ნაწილობრივ ან მთლიანად დაეთანხმება ობიექტურობის პრინციპიდან და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. ბრალმდებლის შეპასუხება არის არა რეპლიკა თავისი პოლემიკური შინაარსით, არამედ მას შეიძლება რეპლიკის შევსება ან დამატება დავარქვათ.[89]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, თუ პროკურორი შესავალი და დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას საჭიროდ ჩათვლის ახალი გარემოებების გამოკვლევას ან რაიმე ახალი მტკიცებულებების წარმოდგენას მან შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს და შესაბამისად, საქმეზე სასამართლო გამოძიება უნდა განახლდეს, ხოლო დამატებითი სასამართლო გამოძიების ჩატარების შემდგომ კავლავ ტარდება მხარეთა

[89] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.95

კამათი. ასეთ შემთხვევაში პროკურორის მიერ წარმოთქმული შესავალი და დასკვნითი სიტყვის მოცულობას არც მოქმედი საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, და არც წინამოებედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აკონკრეტებდა.[90]

პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლი, სასამართლოში მოღვაწეობს სრული საქვეყნოობის ატმოსფეროში, სადაც მისი ყოველი სიტყვა თუ ჟესტი ფასდება სასამართლოსა და დამსწრე აუდიტორიის მიერ. ამიტომ პროკურორის შესავალი და დასკვნითი სიტყვის წარმოთქმული უნდა იქნას ისე, რომ გასაგები იყოს სასამართლოს და საზოგადოებისათვის, რაც შესავალი და დასკვნითი სიტყვის შინაარსისა და ფორმის ერთობლიობით მიიღწევა. სიტყვს პირველი ღირსება, უდავოდ, მისი ღრმა შინაარსია, ანუ ორატორული გამოსვლის თემაა. იგი უნდა გამოირჩეოდეს მრავალფეროვანი მოსაზრებებით, მტკიცებულებათა ყოველმხრივი კვლევით, საკითხის სამართლებრივი მხარის ღრმა ანალიზით, მაგრამ რაც უფრო რთული, ღრმა, ორიგინალურია აზრი, მით უფრო მეტადაა საჭირო მისი გადაქცევა გასაგებ, მისაღებ ფორმად. გარდა იმისა, რომ პროკურორმა ზედმიწევნით, ძირფესვიანად უნდა იცოდეს სასაუბრო საგანი, მან ყოველთვის უნდა მოძებნოს აზრების გადმოცემის ოპტიმალური, საჭირო ფორმა, სწორედ ასე მიიღწევა საბრალდებო სიტყვის მაღალი ხარისხი.

უპირველეს ყოვლისა, პროკურორმა შესავალ და დასკვნით სიტყვაში ყველაფერი უნდა გადმოსცეს ობიექტურად, ყოველგვარი ტენდენციურობისა და მიკერძოების გარეშე. ამასთანავე სიტყვა უნდა იყოს მამხილებელი, დასაბუთებული, მკაფიო და გარკვეული, რისთვისაც პროკურორი შეიარაღებული უნდა იყოს მაღალი კულტურით, გამოცდილებით, პროფესიონალიზმით და ორატორული ტექნიკით; დამცველისაგან განსხვავებით იგი სიტყვას ვე ააგებს და ბრალდებას მხარს ვერ დაუჭერს ვარაუდებზე, ყოველგვარი მისი თეზისი და მოსაზრება უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ, სასამართლოში გამოკვლეულ, საქმესთან შესახებ, უტყუარ, დასაშვებ და, ერთობლიობაში საკმარის მტკიცებულებებს; პროკურორი უნდა იყოს დარწმუნებული თავისი თეზისების სისწორეში და მხოლოდ ამის შემდეგ ეცადოს მოწინააღმდეგე მხარის თუ აუდიტორიის დარწმუნებას - ეს უკანასკნელი ხომ შესავალი და დასკვნითი სიტყვის ამოცანაა, მის საფუძველშივე დევს.

შესავალი და დასკვნითი სიტყვა რომ ბოლომდე დავიდეს მსმენელის ცნობიერებამდე, იგი არა მარტო კარგად უნდა იყოს აღჭურვილი მტკიცებულებებით, არამედუნდა წარმოითქვას სათანადო ტონით, ხმით, პაუზით, აქცენტირებით, ტემპით, ჟესტებით-მჭევრმეტყველების

[90] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.95

ხელოვნების სავალდებულო ატრიბუტებით; პროკურორის გამოსვლა უნდა იყოს უბრალო, წიგნიერი და აღსაქმელად იოლი; უადგილო, უცხო სინონიმებით სიტყვის შელამაზება „მოხატვა“, გარეგნული ეფექტი მიზანშეუწონელია. არისტოტელე თვლიდა, რომ ორატორის სიტყვის ეფექტურობას განსაზღვრავს რამოდენიმე ინდივიდუალური თვისების კომბინაცია: ტალანტი, რიტორიკული ხელოვნების საფუძვლების ცოდნა, განსაკუთრებული პიროვნული თვისებები(სულიერი თუ ფიზიკური), მაღალი ერუდიცია, ქცევის კეთილშობილური მანერა და ავტორიტეტი.[91]

ზნეობრივ–ეთიკური საკითხებისადმი სწორ მიდგომას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესავალი და დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას. ობიექტურობა და სამართლიანობა საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს, მხოლოდ აბსოლუტური დარწმუნება განსასჯელის ბრალეულობაში – ატარებს როგორც სამართლებრივ, ისე ღრმა ზნეობრივ ხასიათს, – წინააღმდეგ შემთხვევაში, მტკიცებულებათა არასაკმარისობის დროს პროკურორმა უნდა გამოიჩინოს პრინციპულობა და უარი თქვას ბრალდებაზე; სწორედ ამაშია მისი მთავარი პროფესიონალური, იურიდიული და მორალური ვალი.

სახელმწიფო ბრალმდებლის შერჩევის, უფლებამოსილების განხორციელების, მისი ქცევის, ეთიკური მოვალეობების კრიტერიუმებსა და წესებს განსაზღვრავენ საერთაშორისო ნორმები, რომელთა მოთხოვნების შესრულება ყოველი პროკურორის ვალია. ამ ნორმებით განსაზღვრულია, რომ პროკურორი უნდა იყოს შესაბამისი განათლების, პროფესიული მომზადების მქონე, უნდა აცნობიერებდეს მისი თანამდებობის მიზნებს და ეთიკურ მოვალეობებს, პროცესის მონაწილეთა დაცვის კონსტიტუციურ და საკანონმდებლლო გარანტიებს, ადამიანის აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, უნდა დაიცვას თავისი პროფესიის პატივი და ღირსება, პროფესიული ფუნქციები განახორციელოს უკანონო მეთოდებისა და სხვისი ღირსებების ხელყოფის გარეშე, სამართლიანი და მიუკერძოებელი საქმიანობით.[92]

შესავალი და დასკვნითი სიტყვა სათანადო ეფექტს აღწევს მაშინ, როცა იგი საგულდაგულოდაა მომზადებული, რაც უნდა დაიწყოს ჯერ კიდევ სასამართლო გამოძიებამდე, წინასწარი გამოძიებისა და სამართალში მიცემის მასალების გაცნობით. პროკურორი ყოველმხრივ და დეტალურად უნდა გაეცნოს საქმეში არსებულ ყველა დოკუმენტსა და

[91] Соболева А., Образ русского оратора. «Российская юстиция». 2002. №2. с. 63

[92] სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ. (მიღებულია გაეროს მე–8 კონგრესის მიერ 1990 წლის 27 აგვისტოს), „გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დოკუმენტები“. წიგნი 3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბ. 1999. გვ. 78-85

მტკიცებულებას, ყველაფერი გამოკვლეული უნდა იქნას უმცირეს წვრილმანებამდე. საქმის შესწავლა შეიძლება დაიწყოს საბრალდებო დასკვნის გაცნობით, საერთო წარმოდგენის მისაღებად, შემდგომ კი მისი ცალკეული ნაწილები და დებულებები უნდა გადამოწმდეს საქმის შესაბამის ფურცლებზე არსებულ მასალებთან შეჯერებით. საქმეზე სწორი დასაბუთებული აზრის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა მასში შემავალი ყველა საპროცესო დოკუმენტის გაცნობა სრული მოცულობით, რათა პროკურორი მზად იყოს ყველა შესაძლო მოულოდნელობისათვის.

პროკურორის ტრიბუნა სასამართლოში საქმის განხილვისას, მისი კანონიერი მოთხოვნა დამნაშავის დასჯისა, ნიშნავს სახელმწიფო ნების გამოხატულებას. თავისი დამაჯერებელი, სამართლიანი, ღრმა გაანალიზებული საბრალდებო თეზისების წარმოჩენით სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვა ეხმარება სასამართლოს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის გამოტანაში, რითაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას. შესავალი და დასკვნითი სიტყვის აუცილებელი ატრიბუტები – საქმის ღრმა იურიდიული და ფსიქოლოგიური ანალიზი, დარწმუნება, დასაბუთებულობა, უნაკლო ლოგიკური მსჯელობა და ზნეობრივ–ეთიკური ნორმების დაცვა ქმნის განსასჯელის მორალური გასამართლების ატმოსფეროს, ხელს უწყობს დანაშაულის პროფილაქტიკას და შესაბამისად აღმზრდელობითი მნიშვნელობაც გააჩნია.

4.2. პროკურორის უარი ბრალდებაზე და მისი სამართლებლივი შედეგები

იურიდიულ ლიტერატურაში პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის საფუძვლებს ყოფენ სამ ჯგუფდ:1) სამართლებრივი – სამართლის ის ნორმები, რომლებიც ადგენენ სისხლის სამართალწარმოების გამომრიცხავ გარემოებებს 2)ფაქტიური – მტკიცებულებითი მასალა რომელიც მიუთითებს ბრალდების დაუდასტურებლობასა თუ უსაფუძვლობაზე, 3)ფსიქოლოგიური–კანონის მოთხოვნებზე და მტკიცებულებების ერთობლიობაზე დამყარებული შინაგანი რწმენის არარსებობა განსასჯელის ბრალეულობის შესახებ.

სასამართლოში პროკურორის საბრალდებო საქმიანობის შეწყვეტის (ე.ი. სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ფუნქციის ლიკვიდაცის) ფორმა ერთადერთი შეიძლება იყოს – პროკურორის მიერ მთლიანად უარის თქმა ბრალდების მხარდაერაზე, მაგრამ სასამართლოს

მიერ მიღებული საპროცესო გადაწყვეტილება ორი ფორმით შეიძლება გამოიხატოს:[93] 1) როცა პროკურორი უარს აცხადებს ბრალდების მხარდაჭერაზე იმ მოტივით, რომ სახეზე არ არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, ან იგი არ არის მართლსაწინააღმდეგო, ანდა პირს არ უდასტურდება დანაშაულის ჩადენაამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, ვინაიდან მტკიცების საგანი, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ბრალდების ფუნქციასთან, აღარ არსებობს, და ამასთან, ზემოაღნიშნული გარემოებები, თანრახმად საპროცესო კოდექსის 298–ე მუხლისა, გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველია. 2) როცა პროკურორი მთლიანად უარს ამბობს ბრალდების შემდგომ მხარდაჭერაზე საპროცესო კოდექსის 28–ე მუხლით გათვალისწინებული, სამართალწარმოების გამომრიცხავი სხვა ფორმალური (თუ შეიძლება ასე ეწოდოს) საფუძვლით და ითხოვოს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას,–ასეთ შემთხვევებში სასამართლომ განჩინებით უნდა შეწყვიტოს საქმე.

ბრალდებაზე ნაწილობრივ უარის თქმისას პროკუორი უარყოფს წარდგენილი და სასამართლოში განსასჯელის მიმართ წამოყენებული ბრალდების რომელიმე პუნქტს, ნაწილს, ეპიზოდს. ამ შემთხვევაში ბრალდება არ ქრება, არ ხდება სრული ლიკვიდაცია საპროცესო–სამართლებრივი გაგებით, ხდება მხოლოდ მისი კორექტირება.[94]

რაც შეეხება სრულ უარს ბრალდებაზე, ამ შემთხვევაში პროკურორი მთლიანად უარყოფს ბრალდებას, ახდენს მისი მთელი მოცულობის უსაფუძვლობის დადასტურებას და წყვეტს მის მხარდაჭერას, შესაბამისად კი, თავის საბრალდებო მოღვაწეობას სასამართლოში.

პროკურორის შინაგანი რწმენა განსასჯელის ბრალეულობის შესახებ შეიძლება შეირყეს სასამართლო გამოძიების პროცესში, თუკი შეიცვალა ფაქტიური ბაზა, საფუძველი პროკურორის ბრალდებასთან დამოკიდებულებისა, ე.მ. არსებული მტკიცებულებების გარდა წარმოდგენილია სხვა მტკიცებულებებიც, რომლებიც ახლებურად ხსნიან საქმის გარემოებებს, ანდა ზოგიერთი არსებული მამხილებელი მტკიცებულება არ აღმოჩნდება უტყუარი ან დასაშვები. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მყარი რწმენის ნაცვლად გაჩნდეს ეჭვი, ვარაუდი მასთან მიმართებაში, ან სულაც დიამეტრალურად საწინააღმდეგო მდგომარეობა–უდანაშაულობის რწმენა, რა დროსაც პროკურორი ვალდებულია უარი თქვას ბრალდების მხარდაჭერაზე, გამომდინარე უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპული დებულებიდან–ყოველანაირი ეჭვი,

[93] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ. 106

[94] იქვე; გვ.104

რომელიც კანონით დადგენილი წესის მიხედვით არ არის დადასტურებული, განსასჯელის სასარგებლოდ უნდა იყოს გადაწყვეტილი. ყველაზე ნათლად, მკაფიოდ შინაგანი რწმენის შეცვლა ვლინდება იმ შემთხვევაში, როცა პროკურორი მთლიანად იტყვის უარს ბრალდების მხარდაჭერაზე. ამ დროს განსასჯელის ბრალეულობის შესახებ შინაგან რწმენას ცვლის ბრალდების დაუსაბუთებლობის რწმენა, როცა არ არსებობს საკმარისი მამხილებელი მტკიცებულებები, ზოგჯერ კი – სრულიად საწინააღმდეგო–უდანაშაულობის რწმენა, რაც ძირფესვიანად განსხვავდება პროკურორის საწყისი ფუნქციისა და პოზიციისაგან. ასეთ შემთხვევაში ბრალდების მტკიცების ნაცვლად მან უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არაა მტკიცებულებანი საკმარისი პირის სამხელად, ანდა უფნდა ამტკიცოს განსასჯელის სრული უდანაშაულობა მისთვის წაყენებულ ბრალდებაში.

მიზეზები, რაც იწვევს ბრალეულობის შესახებ თავდაპირველი რწმენის შეცვლას, სხვადასხვაა:

–პირველ რიგში ესაა პროკურორის მიერ ადრე დაშვებული შეცდომა წინასწარი გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებისას.

პროკურორის უარი ბრალდებაზე არ უნდა გავაიგივოთ მხოლოდ იმ შემთხვევებთან, როცა „პროკურორი მივიდა უდანაშაულობის დასკვნამდე“, ანდა „დადგინდა განსასჯელის უდანაშაულობა“.[95] ისიც საკმარისია, რომ მან დაკარგოს რწმენა განსასჯელის ბრალეულობის შესახებ, შეეცვალოს რწმენა ვარაუდებით. ეჭვებით, დაურწმუნებლობით, მერყეობით რაც განსასჯელისადმი წაყენებული ბრალდებით დაუდასტურებლობას ნიშნავს და ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს მის სასარგებლოდ. მაგრამ აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის პრინციპიდან გამომდინარე, პროკურორმა უნდა გამოიყენოს მისთვის მინიჭებული ყველა საშუალება ამ ეჭვების გასაფანტავად, გულდასმით გამოიკვლიოს და ანალიზი გაუკეთოს ყველა მტკიცებულებას ცალცალკე და ერთობლიობაში იმის დასადგენად, განიცადა თუ არა ცვლილება ბრალდებამ სასამართლო გამოძიებისას, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა არსებული მამხილებელი მტკიცებულებების გასამყარებლად, ახალი მტკიცებულებების მოსაძიებლად და წარმოსადგენად. მაგრამ თუ ეს შეუძლებელია და მის ხელთ არსებული მტკიცებულებითი მასალა აღარაა საკმარისი განსასჯელის ბრალეულობის სამტკიცებლად, ხოლო პროკურორმა ყველა შესაძლებლობები ამოწურა ბრალდების თეზისის სამტკიცებლად, – უარი უნდა თქვას

[95] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.108

ბრალდებაზე და ეს უარი მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება გამართლებული, პოზიტიკური და დასაბუთებული.

იურიდიულ ლიტერატურაში არაა ერთიანი აზრი ჩამოყალიბებული იმასთან დაკავშირებით, ვალდებულია თუ არა სასამართლო შეწყვიტოს საქმის წარმოება პროკურორის მიერ ბრალდების მხარდაჭერაზე უარის თქმის შემთხვევაში (თუ, ცხადია, დაზარალებულიც უარს იტყვის ბრალდებაზე).

პროფ. შ. ფაფიაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სასამართლოს დავალდებულებით საქმის განხილვის შეწყვეტის თაობაზე, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უაის თქმის შემთხვევაში, პროკურორი იჭრება მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში, ითვისებს სასამართლოს ფუნქციებს. სასამიარლომ, როგორც მართლმსაჯულების განმხორციელებელმა ერთადერთმა ორგანომ, ბოლომდე უნდა ეძიოს ჭეშმარიტება, მას უნდა მიეცეს უფლება, შეუფერებლად გააგრძელოს საქმის განხილვა და მტკიცებულებების ამომწურავი გამოკვლევით უზრუნველყოს სწორი, სამართლიანი განაჩენის გამოტანა. მსგავს მართებულ მოსაზრებებს გვთავაზობს რ. გოგშელიძეც.[96]

პროფ. ა. ფალიაშვილი დასაბუთებულად უთითებს, რომ პროკურორის მოსაზრება, დასკვნა, შუამდგომლობა არ ატარებს სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს, სასამართლო ვალდებულია მხოლოდ განიხილოს პროკურორის მიერ დაყენებული ყველა საკითხი და გადაწყვიტოს ისე, როგორც სასამართლოს მიაჩნია სწორად და დასაბუთებულად.[97]

ი. გაბისონიას აზრით, ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამარლოს მიერ საქმის შეწყვეტის ახალი კოდექსისმიერი იმპერატიული მოთხოვნა სამართლიან შენიშვნებს იწვევს, რადგან ეჭვქვეშ დგება მოსამართლის დამოუკიდებლობის საკითხი ერთ–ერთი მხარის მოთხოვნის სავალდებულოობით მისი შებოჭვის გამო.[98]

პროკურორის მიერ ბრალდების მხარდაჭერაზე უარის თქმას სასამართლოსათვის ერთადერთი სამართლებრივი შედეგი შეიძლება ჰქონდეს – შეამოწმოს ბრალდებაზე უარის თქმის სისწორე.[99] მისთვის არავითარმა ე.წ. „ფორმალურმა“ მომენტმა არ უნდა განაპირობოს ავტომატურად უარის თქმა მართლმსაჯულების განხორციელებაზე. არადა, ასეთ პირობებში სამართალწარმოების გასაგრძელებლად არსებობს ობიექტური საფუძველი - თვით რეალურად

[96] სისხლის სამართლის პროცესი. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბ. 2002. გვ. 427

[97] საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1988. გვ. 418-420

[98] გაბისონია ი., პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, გამომცემლობა შპს „ფავორიტი“. თბ. 1999. გვ. 305

[99] გაბისონია ი., სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბ. 2002. გვ. 120-123

არსებული განხილვის საგანი – ბრალდება, რომლის მხარდაჭერაზეც უარი ითქვა, მაგრამ იგი არსებობას განაგრძობს, არსებობ საქმის მასალებში და სასამართლოს მიერ გულდასმით შესწავლა-შემოწმების საგანია. ამას ემატება კიდევ ერთი - ბრალდებაზე პროკურორის მიერ უარის თქმის გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების საკითხი. სწორედ ამიტომ სასამართლომ უნდა გააგრძელოს საქმის განხილვა, გულმოდგინედ შეისწავლოს ბრალდების ფორმლირება გამოკვლეული სასამართლო გამოძიების მასალებისა და ყველა არსებული ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების საფუძველზე, შეამოწმოს ბრალდებაზე უარის თქმის არგუმენტების სისწორე და მხოლოდ ამის შემდეგ, კანონიდან გამომდინარე და შინაგანი მყარი რწმენის საფუძველზე მიიღოს ერთადერთი კანონშესაბამისი და დასაბუთებული გადაწყვეტილება ისე, რომ არ შეიზღუდოს მხარეთა მოსაზრებებით. სასამართლოს მთელი ეს საქმიანობა არის არა ბრალდების ფუნქციის განხორციელება, არამედ ბრალდების არსის, მისი სისწორის საკითხის, მასზე უარის თქმის არგუმენტაციის შემოწმების და გადაწყვეტის პროცესი, რაც სწორედ მართლმსაჯულების განხორციელებას ნიშნავს.[100]

პროკურორის მიერ ბრალდების მხარდაჭერაზე უარის თქმის მიუხედავად ბრალდება აგრძელებს ფუნქციონირებას. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულს აღარ ცნობს მხარედ (57–ე მუხლი), ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას მთლიანად პროკურორს ანდობს. ასეთ შემთხვევაში ბრალდების მხარდაჭერაზე უარის თქმისას

პროკურორს არ ესაჭიროება დაზარალებულის თანხმობა (სუბსიდიურ სისხლისსამართლებრივ დევნას ახალი საპროცესო კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს). ამ ვითარებაში,ახალი საპროცესო კოდექსის 191 მუხლის 1 ნაწილის თანახმად ,სასამართლო, მხარის (რომელშიც,ცხადია,მოიაზრება პროკურორიც) შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას, თუკი არსებობს დევნის შეწყვეტის სათანადო საფუძველი (მათ შორის - პროკურორის უარი ბრალდების მხარდაჭერაზე, ახალი სსსკ 105 მუხლის 1 ნაწ. „ი“ პუნქტი).[101]

საპროცესო კანონმდებლობა (არც მოქმედი,და მითუმეტეს არც ახალი, შეკვეცილ - გამარტივებული კოდექსი) არ აწესრიგებს ბრალდებაზე უარის თქმის მოსაზრების ჩამოყალიბების ფორმის საკითხს. ეს გამართლებულია, რადგან არ შეიძლება პროკურორის

[100] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.114
[101] იქვე; გვ.116

დავალდებულება, მაინდამაინც წერილობით ჩამოაყალიბოს სიტყვა. ეს მხოლოდ პროკურორის სურვილზეა დამოკოდებული, ისევე როგორც საბრალდებო სიტყვის შემთხვევაში. ამდენად, შესაძლებელია ბრალდებაზე უარის თქმის სიტყვის ზეპირი ფორმით ჩამოყალიბებაც, რაც გადატანილი იქნება სასამართლო სხდომის ოქმში. რაც შეეხება მის შინაარსს: სიტყვის დაწყება რეკომენდებულია ბრალდების არსის გადმოცემით და ამ მტკიცებულებათა მოკლე ანალიზით, რომლებზეც თავის დროზე აიგო ბრალდება, შმდეგ კი საჭიროა იმის ჩვენება , რა ცვლილებები განიცადეს ამ მამხილებელმა მტკიცებულებებმა, რა სიახლე შეიტანა წინასწარი გამოძიების მონაცემებში სასამართლო გამოძიებამ, რა მტკიცებულებები აქარწყლებენ ბრალდებას და რატომ მივიდა პროკურორი ბრალდებაზე უარის თქმის დასკვნამდე. ბოლოს პროკურორი აკეთებს განცხადებას, რომ საქმეში არსებული და სასამართლო გამოძიებისას დეტალურად გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზით იგი მივიდა იმ დასაბუთებულ მოსაზრებამდე,რომ უარი თქვას ბრალდების მხარდაჭერაზე. პროკურორის მიერ დასაბუთებულ, არგუმენტირებულ უარის თქმას ბრალდების მხარდაჭერაზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია პიროვნების უფლებების დაცვის მიმართებით, უზრუნველყოფს უდანაშაულო პირის დაცვას დაუსაბუთებელი მსჯავრდებისგან, ამკვიდრებს საზოგადოებაში სამართლიანობის, ჰუმანიზმის იდეების პატივისცემას, ეხმარება მართლმსაჯულებას კანონიერი, დასაბუთებული, სამართლიანი განაჩენის (ვერდიქტის) დადგენაში.[102]

[102] კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ. გვ.117

დასკვნა

სისხლის სამართლის პროცესში პროკურატურას გააჩნია სამი ძირითადი ფუნქცია, კერძოდ: იგი ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას და სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

როგორც ავრნიშნეთ, პროკურორის როლი და ფუნქციები მეტად რთული და, ამავე დროს, მნიშვნელოვანია. ნაშრომში განხილული საკითხებთან მიმართებაში აღმოჩენილი საკანონმდებლო ხარვეზებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი რეკომენდაციები:

1.საქართველოს სსსკ 230–ე მუხლის მიხედვით, თავმჯდომარე ბრალდებულს განუმარტავს მისთვის წაყენებულ ბრალდების არსს და ეკითხება, თავს ცნობს თუ არა იგი დამნაშავედ და თუ ცნობს, – რაში. ბრალდებულის უარი პასუხის გაცემაზე არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მის საწინააღმდეგოდ; როცა იგი დუმს, ეს ნიშნავს, რომ თავს დამნაშავედ არ სცნობს. აღნიშნული ტერმინის ხმარება კანონმდებლის მიერ შეცდომად მიგვაჩნია და შინაარსობრივად გაუმართლებელია – „დამნაშავეობაზე“ საუბარია მანამ, სანამ პირის მიმართ გამოტანილი არ არის გამამტყუნებელი განაჩენი და იგი კანონიერ ძალაში არაა შესული. ასეთი ტერმინის გამოყენება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე–40 მუხლის 1 პუნქტითა და სსსსკ–ის მე–10 მუხლის 1 პუნქტით დადგენილ უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპს.

სასამართლო გამოძიების ეტაპზე გარკვეული უნდა იყოს არა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის საკითხი, არამედ ცნობს თუ არა განსასჯელი წაყენებულ ბრალდებას. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს სსსკ 230–ე მუხლის მე–2 ნაწილში შეტანილი იქნას სათანადო ცვლილებები, რამეთუ სასამართლოში განისჯება ბრალდებული არა დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის, არამედ ბრალეულობის საკითხი იურიდიულ ფაქტთან მიმართებაში.

2.აქვე უნდა აღინიშნოს რომ საპროცესო კოდექსი რატომღაც არაფერს ამბობს სააპელაციო და საკასაციო საჩივრების დასკვნით (სარეზოლუციო) ნაწილზე, რომელშიც საჩივრის ავტორმა (ამ შემთხვევაში – პროკურორმა) უნდა გადმოსცეს, ჩამოაყალიბოს ის მოთხოვნები, რასაც აყენებსზემდგომი სასამართლო ინსტანციის წინაშე, მიუთითოს კანონი, რომელსაც ეყრდნობა, აგრეთვე თანამდებობა (საპროცესო მდგომარეობა) გვარი, ბოლოს კი ხელი მოაწეროს საჩივარს. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია შეივსოს ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი და საპროცესო კოდექსს დაემატოს შესაბამისი პუნქტები ზემოთჩამოთვლილი რეკვიზიტების მითითებით.

3.კანონმდებლობით ასევე არ არის მოწესრიგებული პროკურორის (და სხვა უფლებამოსილი სუბიექტის) მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში საქმის მასალების გაცნობის წესი, რაც განსაკუთრებით საჭირო ხდება მაშინ, როცა ზემდგომ ინსტანციებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს ზემდგომი პროკურორი, რომელიც საქმეს მხოლოდ საზედამხედველო წარმოებით და ქვემდგომი პროკურორის ჩანაწერებით თუ იცნობს. სასურველი იქნება, თუკი ხსენებული პროცედურის მომწესრიგებელი ნორმები დამატებების სახით შევა პროცესის ამ სტადიების მარეგულირებელი თავების შესაბამის მუხლებში.

4.შესავალი და დასკვნითი სიტყვის ზემოაღნიშნული სტრუქტურა, ჩემი აზრით, არა-სრულყოფილია და ზოგი ისეთი ელემენტის დამატებას საჭიროებს, რომლებზეც სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება არ გამახვილებულა და გარეშეც მისი უმთავრესი მიზანი-ხელი შეუწყოს სასამართლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების უკეთ გარკვევასა და დასაბუთებული, კანონიერი განაჩენის გამოტანაში-შეუსრულებელი დარჩებოდა. მხედველობაში გვაქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული ზოგიერთი მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც განაჩენის დადგენისას სასამართლომ აუცილებლად უნდა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა: 1)საჭიროა თუ არა შეიცვალოს**,** გაუქმდეს ან შეირჩეს აღკვეთი ღონისძიების სახე**;** 2)ვის ეკისრება სასამართლო ხარჯების დაფარვა**;** 3)ბრალეული პირის მიმართ შესაძლებელია თუ არა გამოიყენონ იძულებითი მკურნალობა. მითითებული საკითხების შეტანა პროკურორის შესავალი და დასკვნითი სიტყვის შემადგენლობაში მიზანშეწონილია იმ გარემოებების გამო, რომ სასამართლო კამათის დროს პროკურორმა უნდა იმსჯელოს ყველა იმ საკითხზე, რაც საბოლოოდ სასამართლოს გადასაწყვეტია განაჩენით, რათა შესავალი და დასკვნითი სიტყვა იყოს სრულყოფილი, ამომწურავი, მოიცავდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას.

5.პროკურორი, როგორც ინსტიტუციურად დამოუკიდებლობის მქონე თანამდებობის პირი, სასამართლოს ეხმარება მართლმსაჯულების განხორციელებაში, რა პროცესშიც კანონიერებისა და ობიექტურობის პრინციპებიდან გამომდინარე, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას ან, განსაკუთრებულ შემთხვევებში უარს ამბობს მასზე. ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უკანონო ან დაუსაბუთებელი განაჩენების და სხვა გადაწყვეტილებების გასაჩივრებას სააპელაციო ანდა საკასაციო წესით (ზემოთქმული, ცხადია, ეხება კერძო საჩივრებსაც) სამწუხაროდ, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველა პროკურორი როდი დგას ამ მხრივ მოწოდების სიმაღლეზე. დღემდე

ხშირია ხარვეზები განაჩენთა გასაჩივრებისას, რაც სხვადასხვა სახით ვლინდება, კერძოდ: ხშირია შემთხვევები, როცა განაჩენები არ საჩივრდება მაშინ, როცა მათი გასაჩივრება სავალდებულო იყო; პროკურორის სააპელაციო და საკასაციო საჩივრების ნაკლი არცთუ იშვიათად, მათი დაუსაბუთებლობა, სუსტი არგუმენტაციაა, მათში არაა საქმის მასალების (მტკიცებულებების) კრიტიკული ანალიზი, ზუსტი მთითებები დაშვებულ შეცდომებსა და კანონის დარღვევებზე და შემოიფარგლება მხოლოდ პოზიციის გადმოცემით; ზოგჯერ საჩივარი ეყრდნობა წინასწარი გამოძიების მასალებს და არ ითვალისწინებს სასამართლო გამოძიების მონაცემებს; ყოველთვის არ არის მოყვანილი იურიდიული დასაბუთება კვალიფიკაციის საკითხთან დაკავშირებული მოთხოვნებისა; არ არის გადმოცემული არგუმენტაცია სასჯელის ზომის უსწორობასთან დაკავშირებით და ა.შ.

ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილე პროკურორის (სახელმწიფო ბრალმდებლის) ობიექტურობასა და პრინციპულობას, რადგან მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით სახელმწიფო ბრალმდებლის შეცდომათა გამოსწორება და შესაბამისი რეაგირება გაძნელებულია.

აუცილებელია აღმოიფხვრას ბრალდების ხელოვნურად დამძიმების ჯერ კიდევ არსებული მანკიერი პრაქტიკა, რაც მთელი სიცხადით ვლინდება საქმის სასამართლოში განხილვისას და უარყოფით გავლენას ახდენს პროკურატურის ავტორიტეტსა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ამასთან უხეშად ლახავს პიროვნების კანონით გარანტირებულ უფლებებს.

ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ბრალდების განხორციელების ხაზით გაწეული მუშაობა აშკარად არასაკმარისია. პროკურორთა გარკვეულ ნაწილს ბოლომდე არ აქვთ გათავისებული ის როლი და მნიშვნელობა, რომელიც მათ ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ დააკისრა. ზოგიერთ სახელმწიფო ბრალმდებელს და ზემდგომ პროკურორს აკლია პრინციპულობა და ბრძოლისუნარიანობა, სათანადო კვალიფიკაცია, რაც სასამართლოში მხარეთა სრული თანასწორობისას აუფასურებს გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებებს და ბრალდებულს სასჯელისაგან თავის დაღწევის საშუალებას აძლევს. ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებს და მათი აღმოფხვრის გზებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა არ ისმება საკითხი დამრღვევთა პასუხისმგებლობის შესახებ. დაბალ დასჯით პრაქტიკასთან ერთად კლებულობს მხარეთა (მათ შორის–პროკურორთა) მიერ განაჩენის გასაცივრება. ე. ი როგორც ჩანს, სასამართლო განაჩენით (ან სხვაშემაჯამებელი გადაწყვეტილებით) პროცესის

ყველა მონაწილე კმაყოფილია, რაც ყოველთვის არ შეიძლება აიხსნას მართლმსაჯულების დონის ამაღლებით.

ამდენად, აუცილებელია გაიზარდოს სახელმწიფო ბრალმდებელთა და ზემდგომ პროკურორთა პასუხისმგებლობა და ამაღლდეს მათი კვალიფიკაცია, მათდამი კონტროლი და მომთხოვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა

საკანონმდებლო აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009
3. საქართველოს ორგანული კანონი„პროკურატურის შესახებ“, 2018;
4. საქართველოს კანონი„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“

სამეცნიერო ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მ. მამნიაშვილის, ჯ. გახოკიძის და ი. გაბისონიას რედ., თბ., 2013 „იურისტების სამყარო“
2. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მ. მამნიაშვილის, ჯ. გახოკიძის და ი. გაბისონიას ავტ., თბ., 2015 „იურისტების სამყარო“
3. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მ. მამნიაშვილის, ჯ. გახოკიძის და ი. გაბისონიას რედ., თბ., 2013 „იურისტების სამყარო“
4. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მ. მამნიაშვილის, ჯ. გახოკიძის და ი. აქუბარდიას რედ., თბ., 2015 „იურისტების სამყარო“
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგ., ავტ. კოლექტივი, თბ., 2015 “მერიდიანი”
6. სისხლის სამართლის პროცესი. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბ. 2002
7. სისხლის სამართლის საქმის ელექტრონული წარმოების სახელმძღვანელო, თბილისი, 2010 წ
8. ახალი რიტორიკა - საჯარო კამათის ტექნოლოგიები. თბილისი. 2018. იურისტების სამყარო
9. აბაშიძე გ., პროკურორი - გამომძიებლის საპროცესო ხელმძღვანელი,თბ., 2011;
10. აბაშიძე გ., სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერისათვის მომზადების ტაქტიკა და მისი დაგეგმვა. ბათუმი, 2009. შოთა რუსთაველის უნ-ტი
11. აბაშიძე გ., პროკურორი გამოძიების სტადიაზე, თბილისი, 2012 გეორგიკა
12. აბაშიძე გ., სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის ფუნქცია და მისი განხორციელება გამოძიების სტადიაზე. თბილისი 2018. უნივერსალი

13. აბაშიძე გ., სახელმწიფო ბრალმდებელი პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2009, ინოვაცია
14. ბუაძე კ., საპროცესო შეთანხმების აქტუალური საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, ქუთაისი, 2014. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
15. გახოკიძე ჯ., გაბისონია ი., მამნიაშვილი მ., მონიავა პ. საგამოძიებო სამართალი. პირველი ნაწილი. თბ. 2017.გამომცემლობა „იურისტთა სამყარო“.
16. გუცენკო კ., გოლოვკო ლ., ფილიმონოვი ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი., 2007. მერიდიანი,
17. გაბისონია ი., სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბ. 2002.
18. გაბისონია ი., პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, გამომცემლობა შპს „ფავორიტი“. თბ. 1999
19. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014. იურისტების სამყარო.
20. კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. [მონოგრაფია]. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ. 2018 წ.
21. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მე-6 გამოც., თბ., 2016. ბონა კაუზა
22. რიტორიკა ქრესტომათია. თბილისი. 2018. იურისტების სამყარო
23. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, დანაშაულის გახსნის ტაქტიკა, თბ. 2001. თსუ გამომც.
24. ფალიაშვილი ა., საპროკურორო ზედამხედველობა სსრ კავშირში. გამომცემლობა თსუ. თბ. 1970
25. ხარაზიშვილი ბ., კრიმინალისტიკა, თბ. 1969 თბილისის უნივერსიტეტის გამომც.
26. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1988
27. მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე) გამომცემლობა “მერიდიანი” თბ. 2015
28. მეიშვილიზ., ო. ჯორბენაძე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2007;

29. პ. მონიავა და სხვ., საპროკურორო სამართალი, „იურისტების სამყარო“. თბ., 2015.
30. სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორთა როლის შესახებ. (მიღებულია გაეროს მე–8 კონგრესის მიერ 1990 წლის 27 აგვისტოს), „გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დოკუმენტები“. წიგნი 3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბ. 1999
31. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი. რედ.: ხუბუა გ., თოთლაძე ლ., ბერლინი 2012/ გამომცემლობა : BERLINER WISSENSAFTS-VERLAG ,
32. Бушковская Е.Н., Надзор прокурора за процессуальной деятельностью следователя и дознавателя в досудебном производстве., Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2011;
33. Боботов В.Н. Крутских В.Е., Прокуратура в России и за рубежом. Изд-во «Норма», М. 2001
34. Крюков В.Ф., Правовой статус прокурора в уголовном преследовании (досудебное и судебное производство)., Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук, Москва, 2012;
35. Головко Л.В. Альтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург. Юридический центр Пресс, 2002, стр. 32.
36. Головко Л.В. Дознание и предварительное следствие в уголовном процессе Франции. М.1995, стр. 7.
37. Мыхайлов В.А. Уголовно-процессуальные меры пересечения в судопроизводстве Российской Федераций. М.: 1997, стр. 157
38. Угаловный процесс. Изд-во «Зеркало». М. 2000
39. Уголовно процессуалный кодекс Франции / Перевод Л.В. Головко. М., 2000
40. Уголовно-процессуальный кодекс Республики Белорусь. Изд-во «Юридический центр Пресс». Санкт-Петербург. 2001
41. УПК ФГР. Изд-во «Манускрипт». М. 1994
42. Уголовно-процессуальное право Российской Федерации. «Юристь», М. 2001
43. Угаловно-процессуальный кодекс Российской Федерации. Изд-во «ИКФ ЭКМОС». М. 2002
44. Петрухин И.Л. Теоретические основы реформи уголовного процесса в России. Часть 1. М., 2004. С.82;

45. Тертышник В.М., Научно-практический комментарий к уголовно-процессуальному кодексу Украины. Изд-во «А.С.К.». Киев. 2001
46. Карнизова Л.М. Созидая будушее: вклад И.Л. Петрухина в развитие и реализации идей востанавительного правосудия // В кн.: И.Л, Петрухин: жизнь в науке. Сборник статей и воспоминаний. М., 2010. С. 79-81;
47. Gerard e. Lynch. American law and lawer information. T. 3. Chicago: American Bar Asociaition. 1998. P.10;
48. Kelly G. Shaver, Marcia A. Gilbert, and Marylie C. Williams. Personality and Social Psychology Bulletin, 6 1975: vol.1: pp. 471-484;
49. Artur Hartmann, Rolf Schmidt: Strafprozessrecht/Grundzuege des Strafverfahrens; 1. Auflage; Grasberg bei Bremen; 2007. S. 71;
50. People v Liverpool, 262 AD 2D 425. 2d Dept 1999.
51. Brittany R.C., Whose Line Is It Anyway? Reducing Witness Coaching by Prosecutars, "Legislation and Public Policy", Vol. 18, 1989
52. “Rechtswoerterbuch”, begruendet von Dr. Carl Creifelds; herausgegeben von Dr. Klaus Weber; Ver;ag C. H. Muenchen. 2007. S. 20;
53. Nixon v. United States, 563, 1988, Smith V. Kelly, №7:07 cv 00536, 2008
54. Markus Horstmann, Ueber Zwaeckmaessigkeitsprinzip, Praezisieren und Kontrolle im Strafprozessrecht:. Berlin, 2002. S. 51-55;
55. KKlaus Roxin. Streafprozessrecht. 25. Auflage. Muenchen, 1998. S. 17;

სტატიები:

1. გ. აბაშიძე; პროკურორის საქმიანობა, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები გამოძიების სტადიაზე. ჟურნალი “თემიდა,” #5, 2011 წ
2. გ. აბაშიძე; პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე. ჟურნალი “თემიდა,” #5, 2011 წ
3. გ. აბაშიძე; პროკურორის როლი სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განხორციელებაში. ჟურნალი “ინტელექტუალი,” #16 , 2011 წ

4. გ. მეფარიშვილი; ი. ჩხეიძე; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსი: რეფორმა თუ კონტრრეფორმა? საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“, 2010 წლის 17 ნოემბერი.
5. გ. მეფარიშვილი; სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფარდობისათვის, ჟურნალი “მართლმსაჯულების მაცნე”, 1996, N1
6. ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, ფარული საგამოძიებო მოქმედებები თუ ოპერატიულ-სამძებროსაქმიანობა? ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები,” №6, 2010
7. ნ. გაბრიჩიძე., გამოძიების ცალკეული პროცესუალური ასპექტები, სტუ I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამართლის აქტუალური პრობლემები”, №6. 2010
8. მ. მამნიაშვილი; გამომძიებელი სისხლის სამართლის პროცესში, სისხლის სამართლის პროცესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, სამეცნიერო ნაშრომების კრებული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2012
9. მ. მამნიაშვილი; მოწმის დაკითხვის ახალი რეგულაციები სისხლის სამართლის პროცესში. იურისტი=Lawyer: საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი . ა(ა)იპ საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, 2017. N 2. გვ. 84-92.
10. მ. მამნიაშვილი; საგამოძიებო ექსპერიმენტის პროცესუალური ასპექტები ჟ. „ინტელექტუალი” №15. 2011
11. მ. მამნიაშვილი; თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების რეალიზაციის პრობლემა ქართულ სისხლის სამართლის პროცესში. სამეცნიერო შრომების კრებული = Scientific magazine. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი, 2017. N 8.
12. ა. ფალიაშვილი; სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ, ჟურნ. «სამართალი», № 4- 5, 2000,
13. ა. ფალიაშვილი, სასამართლო რეფორმისა და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები. ჟურ. „სამართალი“. #5-6. 1993.
14. ვ. ბენიძე; საპროცესო კოდექსში ათეულობით გაუქმებული ნორმაა დარჩენილი - ცვლილებების გარეშე - სამართალი. №1, 2. 2008 წ.
15. მეურმიშვილი ბ., პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი. ჟურ. „სამართალი“. #8. 2001
16. Соболева А., Образ русского оратора. «Российская юстиция». 2002. №2

დისერტაციები და ავტორეფერატები

1. ბ. მეურმიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე). დისერტაცია. თბ. 2014.
2. ი. ხუციშვილი, პროკურორი და გამოძიების პროცესუალურ - ორგანიზაციული თავისებურებანი". ავტორეფერატი. თბ. 2014

ინტერნეტ წყაროები

1. „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათადა თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2015 წელი", <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3512.pdf#page=16&zoom=auto,-121,792> (11.07.2019)
2. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №31. (matsne.gov.ge). (11.07.2019)
3. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ფუნქციების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს მთავარი პროკურატურის ვებ გვერდზე, <http://pog.gov. ge/geo/witness> (11.07.2019)
4. საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ 30/11/2018 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4382740?publication=2 (11.07.19)
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2019 წლის 29 მაისის მდგომარეობით https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=106 (11.07.19)